პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 291 (10685) | კვირა, 16 დეკემბერი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ნ. ა. ბულგანინის, ნ. ს. ხრუშჩოვის, ა. ი. მიქოიანის დეპეშა იაპონიის პრემიერ-მინისტრს იკირო ხატოიამას (1-ლი გვერდი).

ნ. ს. ხრუშჩოვის, ნ. ა. ბულგანინის დეპეშა იაპონიის მიწათმოქმედებისა და ტყის მინისტრს იკირო კონოს (1-ლი გვერდი).

დ. ტ. შეპილოვის დეპეშა იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრს მამორუ სიგემიცუს (1-ლი გვერდი).

დ. ტ. შეპილოვის დეპეშა სიუნიცი მაცუმოტოს (1-ლი გვერდი).

მოსკოვში გაიხსნა ესტონეთის ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა (1-ლი გვერდი).

რაიონულ პარტიულ კონფერენციებზე.— ი. თედიაშვილი. — როცა მასებში პოლიტიკური მუშაობის შეუფასებლობას იჩენენ (მე-2 გვერდი).

ლაპარაკობენ ინფორმაციები. — ნ. ვარდოსანიძე. — ჩავაბათ ახალი სამეურნეო წლისათვის მზადებაში ყველა ავტომობილმშენებელი. ა. ამირაგოვი. — ეფექტიანი საშუალება (მე-2 გვერდი).

ლიტერატურა და ხელოვნება (მე-3 გვერდი).

ვ. წირღვავა. — რაიონული გაზეთი და სოციალისტური შეჯიბრება (მე-3 გვერდი).

კ. ქებაძე. — საქართველო (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ 1957 წელს

მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოებს სოციალისტური სახალხო მეურნეობა პროდუქციის გამოშვებისა და მისი ხარისხის განუხრელ გაუმჯობესებაზე ყოველწლიურად მზარდ მოთხოვნილებას უყენებს.

იმისათვის, რომ ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაკები მუდამ იყონ თავიანთი მოწოდების სიმაღლეზე, წარმატებით დააკმაყოფილონ სახალხო მეურნეობის ეს მზარდი მოთხოვნილება და უზრუნველყონ პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული დიადი პროგრამის შესრულება, საჭიროა წარმოების ტემპის განუხრელი ზრდის მიღწევა, დღეს მეტი და უკეთესი ხარისხის პროდუქციის გამოშვება, ვიდრე გუშინ, და ხვალ კიდევ უფრო მეტი პროდუქციის გამოშვება, ვიდრე დღეს. მთავარი ამოცანა ის არის, რომ პროდუქციის გამოშვების გადიდება, მისი ხარისხის ამაღლება და თვითღირებულების შემცირება მიღწეულ იქნას არსებული საპროექტო სიმძლავრეების ათვისებით, ტექნოლოგიის გაუმჯობესებით, არსებული მოწყობილობის უკეთ გამოყენებით.

წელიწადი მიიწურა. ახლოვდება მეექვსე ხუთწლედის მეორე წლის — 1957 წლის დიად სამუშაოთა დასაწყისი. მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოთა კოლექტივებს მომავალი სამეურნეო წლის განმავლობაში ბევრად გადიდებული მოცულობის, მრავალი ახალი სამუშაოს შესრულება მოუხდებათ. ახლა საჭიროა მრეწველობის ცალკე დარგების ხელმძღვანელმა სამეურნეო ორგანიზაციებმა — სამინისტროების, ტრესტების, სამშენებლო ობიექტების, აგრეთვე ცალკე საწარმოების ხელმძღვანელებმა იზრუნონ არა მარტო მიმდინარე საწარმოო დავალებათა შესრულების უზრუნველყოფაზე, არამედ ამასთან ერთად მოიფიქრონ და გულდასმით დაამუშაონ ღონისძიებანი მომავალ წელს იმ სიძნელეთა ლიკვიდაციისათვის, რომლებიც ხელს უშლიდა მათს მუშაობას, ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ ახალ სამეურნეო წელს.

რასაკვირველია, 1957 წლის საწარმოო ამოცანების შესრულებისათვის მზადყოფნის პირველი პირობა მიმდინარე წლის პროგრამის გადაჭარბებით შესრულებაა. განვლილი წლების გამოცდილებამ სავსებით ცხადყო, რომ ახალი სამეურნეო წლის ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლაში თავიდანვე მაღალი ტემპის აღება, საწარმოო დავალებათა თანდათან მზარდი მაჩვენებლებით შესრულება დამოკიდებულია დეტალებისა და ნახევარფაბრიკატების გარდამავალი მარაგის შექმნაზე, ხოლო სამთამადნო მოპოვებითს მრეწველობაში მადნის, ქვანახშირის ან სხვა წიაღისეულის გარდამავალი საექსპლოატაციო ველების, ლავების მომზადებაზე.

მაგრამ ეს არ კმარა. საჭიროა ამასთან ახლადასათვისებელი პროდუქციის გამოშვებისათვის ტექნოლოგიის მომზადება, სათანადო ტექნიკური აღჭურვილობის მომარაგება. სამწუხაროდ, ჩვენი რესპუბლიკის ყველა საწარმოში ახალი სამეურნეო წლისათვის მზადება ისე არ არის გაჩაღებული, როგორც საჭიროა. ბევრ საწარმოში ახლაც არ იციან ზუსტად, თუ რა უნდა გააკეთონ მომავალ წელს, როგორ შეიცვლება მათი მუშაობის პროფილი, რა ახალი სახის პროდუქციის გამოშვებაზე მოუხდებათ მუშაობა. მაგალითად, ავჭალის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანაში ჯერაც არა აქვთ მიღებული 1957 წლის დაზუსტებული საწარმოო პროგრამა. ცხადია, ეს გარემოება ქარხნის კოლექტივს შეაფერხებს მომავალი სამეურნეო წლისათვის მზადებაში, შეუქმნის დამატებითს სიძნელეებს საჩარხე სხმულების გამოშვებაში.

თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელ და საფეიქრო მანქანათა დეტალების ქარხნებში ჯერაც არ მიუღიათ ზუსტი მითითებები, თუ როგორი ცვლილებები იქნება შეტანილი მათს სამუშაო პროგრამაში 1957 წელს. ამავე დროს ამავე საწარმოების კოლექტივებს დიდი მოსამზადებელი მუშაობის გაწევა მოუხდებათ იმ შემთხვევაში, თუ მათი პროფილი შეიცვლება, საამისო დრო კი იწურება და იქმნება საფრთხე იმისა, რომ ამ ქარხნებში ახალი სამეურნეო წლის დაწყებამდე ვერ მოასწრებენ ვერც ახალი ტექნოლოგიის დამუშავებასა და დაზუსტებას, ვერც დეტალებისა და ნახევარფაბრიკატების გარდამავალი მარაგის შექმნას.

ცნობილია, რომ მომავალ წელს ჩვენს რესპუბლიკაში საგრძნობლად უნდა გაფართოვდეს სამრეწველო და საბინაო მშენებლობის მასშტაბები. ეს მოითხოვს დიდ ორგანიზაციულ-ტექნიკურ მზადებას, კადრების დარაზმვას, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საკითხების მოსაწესრიგებელ ღონისძიებათა განხორციელებას და, რაც მთავარია, საშენი მასალების წარმოების სათანადო ზრდის უზრუნველყოფას. ამ მხრივ დიდად პასუხსაგები ამოცანები დგება რესპუბლიკის საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოთა კოლექტივების წინაშე. მათი ვალია წლის დამთავრებამდე დარჩენილი დღეები გამოიყენონ თავიანთ საწარმოებში მოწინავე საწარმოთა გამოცდილების დასანერგავად. გამოანგარიშებულია, რომ თუ, მაგალითად, რესპუბლიკაში მოქმედი აგურის ქარხნები შეძლებენ თავიანთი საპროექტო სიმძლავრეების ისეთი ოდენობით გადაჭარბებას, როგორც ეს შეძლეს საბურთალოს მშრალი წნეხვის მექანიკურ ქარხანაში, მშენებელთა მოთხოვნილება აგურზე, ამ ძირითად საკედლე მასალაზე, სავსებით დაკმაყოფილებული იქნება არსებული საწარმოო ფართობების გაუდიდებლად.

საწარმოთა ხელმძღვანელებმა, ადგილობრივმა პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა არ უნდა დაივიწყონ, რომ ახალ მიღწევათა მოპოვების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საწინდარია 1957 წლისათვის ტექნიკურ-ორგანიზაციული გეგმის გულდასმით დამუშავება და შემდეგ ამ ღონისძიებათა თანმიმდევრობით განხორციელება. მაგრამ ასეთი გეგმა უსუსური აღმოჩნდება, თუ მას „კაბინეტური მეთოდით“ შეადგენენ, თუ ახალი წლისათვის მზადებაში არ ჩაებმენ მთელ კოლექტივს — ოსტატებს, მოწინავე ბრიგადირებს, მუშებს, ინჟინერ-ტექნიკოსებს.

ამიტომ არის აუცილებელი, რომ საწარმოთა სამეურნეო, პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა სათანადო ხელმძღვანელობა გაუწიონ მასების საწარმოო აქტივობას, მთელი ძალები, ყველა საშუალება გამოიყენონ მიმდინარე წლის გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის და შექმნან წინაპირობა მომავალი წლის საწარმოო დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის.

წიყარი გეგმა ვადამდე შეასრულეს

საკადესის კორესპონდენტებისაგან

საბჭოთა ადამიანები წარმატებით ამთავრებენ მეექვსე ხუთწლედის პირველ წელს. დღითიდღე დიდდება იმ საწარმოთა რიცხვი, რომლებმაც ვადამდე შეასრულეს წლიური გეგმა.

ქვანახშირის ამოღება წლიური გეგმის გადაჭარბებით დაიწყეს ტრესტ „ლენინუგოლის“ (ყარაგანდის ქვანახშირის აუზი) № 47-49 შახტის მაღაროელებმა. სამთო კომბაინების თვიური წარმადობა, რომლებიც აღჭურვილია რაციონალიზატორებმა გააუმჯობესეს, საგეგმო დავალებას 3 ათასი ტონით აღემატება. ყარაგანდის შვიდმა შახტმა უკვე წარმატებით შეასრულა წლიური გეგმა.

წლიური გეგმა შეასრულეს ტაჯიკეთის საკონსერვო მრეწველობის საწარმოებმა. შარშანდელთან შედარებით კონსერვების გამოშვება გადიდდა ერთნახევარჯერ, ხმელი ხილისა — სამჯერ.

წლიური გეგმა შეასრულა ტაშკენტის მექანიკური ქარხნის კოლექტივმა, რომელიც უშვებს მანქანებსა და მოწყობილობას ბამბის საწმენდი საწარმოებისათვის. პროდუქციის თვითღირებულება შარშანდელთან შედარებით 25 პროცენტით შემცირდა. ქარხნის მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა გადაწყვიტეს წლის დამლევამდე გეგმის გადაჭარბებით კიდევ გამოუშვან თითქმის 2 მილიონი მანეთის პროდუქცია.

მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის გეგმა შეასრულა მედნოგორსკის სპილენძ-გოგირდის კომბინატის (ჩკალოვის ოლქი) კოლექტივმა. შრომის ნაყოფიერება შარშანდელთან შედარებით მკვეთრად გაიზარდა და გეგმით გათვალისწინებულს 6 პროცენტით აღემატება, პროდუქციის თვითღირებულება შემცირდა 12 პროცენტით, რამაც შესაძლებელი გახადა 6 მილიონ მანეთამდე ზეგეგმითი მოგების მიღება. წელს საწარმოში დაინერგა 1.400-ზე მეტი რაციონალიზატორული წინადადება და დიდი ტექნიკური გაუმჯობესება.

წლიური გეგმის გადაჭარბებით 24 მილიონი მანეთის პროდუქცია გამოუშვა ვინაცის ხორცკომბინატის კოლექტივმა.

დეპეშა

მის აღმატებულებას
გატონ იჩიროო ხატოიამას
იაპონიის პრემიერ-მინისტრს

ტოკიო

გამოვთქვამთ დიდი კმაყოფილების გრძნობას საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის ნორმალური კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენის გამო. დარწმუნებული ვართ, რომ ამ ურთიერთობის აღდგენა დადებით როლს შეასრულებს შორეულ აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში. დიდი კმაყოფილებით ვიგონებთ თქვენთან შეხვედრებს მოსკოვში და თქვენს ნაყოფიერ მოღვაწეობას და მეცადინეობას ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის ნორმალიზაციაში.

დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი ქვეყნების ურთიერთობა განვითარდება მეგობრობის, ურთიერთგაგებისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის სულისკვეთებით ჩვენი ქვეყნების ხალხთა ინტერესებისათვის.

გისურვებთ ჯანმრთელობას და წარმატებებს თქვენს მოღვაწეობაში.

ნ. ბულგანინი ნ. ხრუშჩოვი ა. მიქოიანი

მოსკოვი, კრემლი. 1956 წლის 14 დეკემბერი.

დეპეშა

მის აღმატებულებას
გატონ იჩიროო კონოს
იაპონიის მიწათმოქმედებისა და ტყის მინისტრს

ტოკიო

ერთობლივი დეკლარაციისა და სხვა შეთანხმებების ძალაში შესვლა, რომლებმაც დასაბამი მისცეს საბჭოთა კავშირისა და იაპონიის ნორმალურ ურთიერთობას, დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი ქვეყნების ისტორიაში.

ამასთან დაკავშირებით მოხარული ვართ აღვნიშნოთ თქვენი მეცადინეობა, რომელმაც დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა სსრ კავშირისა და იაპონიის მთავრობათა დელეგაციების ფოლაპარაკების დადებითად დამთავრებაში.

ნება გვიბოძეთ გისურვოთ, პატივცემულო ბატონო მინისტრო, ყოველგვარი წარმატება თქვენს მოღვაწეობაში.

ნ. ხრუშჩოვი ნ. ბულგანინი

მოსკოვი, კრემლი. 1956 წლის 14 დეკემბერი.

დეპეშა

მის აღმატებულებას
გატონ მამორუ სიგემიცუს
იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრს

ტოკიო

მე მინდა დიდი კმაყოფილების გრძნობით აღვნიშნო, რომ მუშაობა საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის ნორმალური ურთიერთობის აღსადგენად, რომელშიც თქვენ უშუალო მონაწილეობას იღებდით, წარმატებით დამთავრდა. ჩემთვის სასიამოვნოა ამასთან დაკავშირებით გავიხსენო ჩვენი ერთობლივი მუშაობა, რაც მიმდინარეობდა მოსკოვსა და ლონდონში, და იმედი მაქვს, რომ ჩვენი კონტაქტები მომავალშიც გაგრძელდება.

სსრ კავშირსა და იაპონიას შორის მეგობრული ურთიერთობის აღდგენა შეესაბამება როგორც ჩვენი ქვეყნების ხალხთა, ისე ყველა სხვა სახელმწიფოს ხალხთა ინტერესებს, რომლებიც დაინტერესებული არიან მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებით.

მიიღეთ, ბატონო მინისტრო, ჩემი საუკეთესო სურვილები.

დ. შეპილოვი

მოსკოვი, 1956 წლის 14 დეკემბერი.

დეპეშა

მის აღმატებულებას
გატონ სიუნიცი მაცუმოტოს

ტოკიო

სსრ კავშირსა და იაპონიას შორის ნორმალური ურთიერთობის აღდგენის გამო მე მინდა აღვნიშნო თქვენი ნაყოფიერი მოღვაწეობა ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში ჩვენი ქვეყნების ხალხებისათვის, აგრეთვე საყოველთაო მშვიდობის ინტერესებისათვის.

ნება მიბოძეთ გისურვოთ, თქვენო აღმატებულებავ, წარმატებანი თქვენს მოღვაწეობაში.

დ. შეპილოვი

მოსკოვი, 1956 წლის 14 დეკემბერი.



თემირ-ტაუ. იზრდება და კეთილმოწყობილი ხდება ყაზახ მეტალურგთა ახალგაზრდა ქალაქი. წელს გაიყვანეს ახალი ქუჩები, აააგეს ათობით ახალი შენობა. ახობით სახლი აიშენეს ინდივიდუალურმა მშენებლებმა. **სურათზე:** მეტალურგთა და ენერგეტიკოსთა ახალი საცხოვრებელი სახლები პანფილოვის სახელობის ქუჩაზე თემირ-ტაუში.

ფოტო ა. ბუროვისა. (საკადესის ფოტოქრონიკა).

კუიბიშევის ჰესის მშენებელთა შრომითი გამარჯვება

მეათე ჰიდროაგრეგატმა დაიწყო სამრეწველო დენის გამოშვება

ჟიგულევსკი (**კუიბიშევის ოლქი**), 14 დეკემბერი. (საკადესი). კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლები ახალ შრომითს გამარჯვებას აღნიშნავენ. გასულ ღამეს ამუშავდა და სამრეწველო, დენის გამოშვება დაიწყო მეათე ჰიდროაგრეგატმა.

დღეს ვოლგის მარჯვენა ნაპირზე, იქ, სადაც აღმართულია ელექტროსადგურის უზარმაზარი შენობა, გაიმართა ამ ამბისადმი მიძღვნილი ჰიდრომშენებელთა მიტინგი.

მიტინგი გახსნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტორგმა „კუიბიშევჰიდრომშენზე“ ამხ. მურისევმა, რომელმაც თქვა:

— ახლა, როცა ვოლგის წყალი აბრუნებს კუიბიშევჰესის ათ ტურბინს, ჩვენ ვუპატაკებთ პარტიას, მთავრობას, სამშობლოს, რომ „კუიბიშევჰიდრომშენის“ კოლექტივმა ვადამდე შეასრულა ენერგეტიკულ სიმძლავრეთა ამუშავების წლიური გეგმა. კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურმა ვოლგაზე მიაღწია დაპროექტებული სიმძლავრის ნახევარს — ერთ მილიონ ორმოცდაათ ათას კილოვატს და ამჟამად ყველაზე დიდი ჰიდროელექტროსადგურია ჩვენს ქვეყანასა და ევროპაში.

ჰიდრომშენებელთა სახელოვან შრომითს საქმეებზე ილაპარაკეს მემონტაჟეთა ბრიგადირმა სერიკოვმა, ელექტრომემონტაჟემ კონოვალოვამ, „კუიბიშევჰიდრომშენის“ უფროსმა კომზნიმა, კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის დირექტორმა რიაბოშაკომ და სხვებმა. მათ აღნიშნეს, რომ მსოფლიოს ჰიდროშენებლობის პრაქტიკას არ ახსოვს ისეთი ტემპები, როგორიც მიღწეულია კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურში, სადაც წელიწადზე ნაკლებ ხანში საექსპლოატაციოდ გადაეცა ათი გიგანტური ელექტრომანქანა თვითეული 105 ათასი კილოვატი სიმძლავრისა. მემონტაჟეებმა გამოიყენეს ტურბინებისა და გენერატორების გამსხვილებული აწყობის მოწინავე მეთოდი და მიაღწიეს სამუშაოთა მნიშვნელოვან დაჩქარებას. ახლა ჰიდროაგრეგატებს აწყობენ 45 დღეში ნაცვლად პროექტით გათვალისწინებული 120 დღისა.

მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს სოციალისტური ვალდებულება — წელს ასამუშავებლად გაამზადონ კიდევ ორი ჰიდროაგრეგატი, ხოლო 1957 წელს საექსპლოატაციოდ გადასცენ დანარჩენი რვა აგრეგატი.

კონკურსი მსუბუქი მრეწველობის ახალ ნაწარმზე

სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ გამოაცხადა, რომ 1956 წლის 15 დეკემბრიდან იწყება კონკურსი იმაზე, რომ შეიქმნას ბამბის, შალის, აბრეშუმის, სელის, საავეჯო-დეკორაციული ქსოვილებისა და საცალო საფეიქრო ნაწარმის ახალი სტრუქტურები და მოჩითულობა, ახალ სახეობათა და საუკეთესო მოდელების სამკერვალო და სატრიკოტაჟო ნაწარმი, მხატვრული მინა, ფეხსაცმელი, ქუდი, ბეწვი და ბეწვეულის ნაწარმი, ჰალსტუხები და ტყავის გალანტერია.

მსუბუქი მრეწველობის ცალკეულ სახეობათა ქსოვილებსა და ნაწარმზე კონკურსის დამთავრების ვადა სხვადასხვაა — 1957 წლის 1 მარტიდან 1 ოქტომბრამდე. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკებს, ინდივიდუალურად და კოლექტიურად, აგრეთვე დაწესებულებებსა და სამეცნიერო-საკვლევ ორგანიზაციებს. კონკურსზე წარსადგენი ყველა მასალა გაიგზავნება დახურული კონვერტებით ავტორის დევიზით, საუკეთესო ნამუშევრებს მიაკუთვნებენ ფულად პრემიებს.

დამტკიცებულია კონკურსის ჩატარების დებულება და ჟიურის შემადგენლობა. (საკადესი).

მოსკოვში გაიხსნა ესტონეთის ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა

მაღალი იდეურობით, მრავალი სხვადასხვა ფორმით გამოირჩევა საბჭოთა ხელოვნება და ლიტერატურა. საბჭოთა კავშირის ყველა ხალხს შეაქვს თავისი წვლილი მრავალეროვანი სოციალისტური კულტურის საგანძურში და ამდიდრებს ერთმანეთს. სწორედ ამიტომ მუდამ სიხარულით ეგებებიან საბჭოთა ადამიანები მოკავშირე რესპუბლიკათა შემოქმედებითი კოლექტივების ანგარიშს ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში.

14 დეკემბერს მოსკოვში ზეიმით გაიხსნა ესტონეთის ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა. დეკადის მონაწილეებმა ჩამოიტანეს ყველა ძირითადი სახეობის ხელოვნების: თეატრის, მუსიკის, ლიტერატურის, ფერწერის, კინოს საუკეთესო ნიმუშები. ნაწარმოებთა უმრავლესობა საბჭოთა ესტონეთში შექმნილია ომისშემდგომ პერიოდში.

სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის ფილიალში დაიწყო ოპერისა და ბალეტის თეატრ „ესტონეთის“ კოლექტივის სპექტაკლები.

განსაკუთრებით გულთბილ, საღღესასწაულო ვითარებაში მიმდინარეობს ესტონეთის საოპერო ხელოვნების ოსტატთა პირველი შეხვედრა მოსკოველებთან. მაყურებელთა დარბაზში შეკრებილნი მხურვალედ მიესალმებიან მსახიობებს და მათი სახით ნიჭიერ ესტონელ ხალხს.

სსრ კავშირის დიდი თეატრის მთავარი რეჟისორი რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ბ. ა. პოკროვსკი ესტონეთის თეატრის კოლექტივს მიესალმა დიდი თეატრის მსახიობთა და მოსკოვის ხელოვნების ყველა მუშაკთა სახელით.

დიდხანს არ ცხრება ტაში საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობის აღსანიშნავად, ესტონელი ხალხის წარმოგზავნილთა პატივსაცემად.

მგრძნობიარედ იხდის მადლობას მისალმების გულთბილი სიტყვებისათვის ესტონეთის სსრ სახალხო არტისტი ოლღა ლუნდი. იგი ამბობს, რომ დეკადა დიდი დღესასწაულია არა მარტო ხელოვნების მუშაკებისათვის, არამედ რესპუბლიკის ყველა მშრომელისათვის. ესტონეთის ფორმით ეროვნულმა, შინაარსით სოციალისტურმა ხელოვნებამ საბჭოთა ხელისუფლების წლებში უდიდეს აყვავებას მიაღწია.

მოსკოველებს უჩვენეს ესტონეთის ერთ-ერთი საუკეთესო ოპერა ესტონეთის სსრ სახალხო არტისტის კომპოზიტორ ეუგენი კაპის „შურისგების ცეცხლი“.

ესტონელ ხალხს მრავალი საუკუნის ისტორია აქვს. თავისუფლებისათვის მისი ბრძოლის მატიანეში დიდმნიშვნელოვანი ადგილი უკავია გერმანელი ქოფაკი რაინდების წინააღმდეგ აჯანყებას 1343 წლის გიორგობის ღამეს. ამ ამბისადმი მიძღვნილია ოპერა, რომლის ლიბრეტო ეკუთვნის ესტონეთის სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს პაულ რუმოს.

„შურისგების ცეცხლი“ ღრმად სახალხო ნაწარმოებია, რომელიც დაიწერა დიდი სამამულო ომის დღეებში ესტონელი ხალხის ცხოვრების გმირული ეპიზოდის 600 წლისთავის აღსანიშნავად.

ოპერა მთავრდება სახალხო შურისმგებელთა ფიცით: „ჩვენგან არავინ არ უღალატებს ხალხის თავისუფლებას!“

სპექტაკლს დაესწრნენ ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიქოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ნ. ა. მიხაილოვი. სპექტაკლზე იყვნენ ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები ი. გ. კებინი და ლ. ნ. ლენცმანი, ესტონეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ა. მიურისეპი, ესტონეთის სსრ კულტურის მინისტრი ა. ი. აზსბერგი.

• • •

14 დეკემბერს თავიანთი სპექტაკლები დაიწყეს დრამატულმა თეატრებმაც: ტალინის ვ. კინგისეპის სახელობის თეატრმა და თეატრმა „ვანემუინემ“.

ვ. კინგისეპის სახელობის თეატრმა აჩვენა ესტონელი დრამატურგის ე. რანეტის პიესა „სინდისი“, რომელიც ეძღვნება ჩვენი დროის ადამიანებს.

ესტონეთის უძველესი თეატრის — „ვანემუინეს“ დადგმით მოსკოველმა მაყურებლებმა ნახეს ესტონელი დრამატურგის ე. ტამლაანის დრამა „რკინის სახლი“.

კონსერვატორიის დიდ დარბაზში დიდი წარმატებით შეასრულეს ესტონეთის სსრ სახელმწიფო აკადემიური ვაჟთა გუნდის კონცერტი რესპუბლიკის სახალხო არტისტის გუსტავ ერნესაქსის ხელმძღვანელობით.

მრავალი დამთვალიერებელი მიიზიდა ესტონეთის წიგნის, გრაფიკისა და პლაკატის გამოფენამ, რომელიც ხელოვნების მუშაკთა ცენტრალურ სახლში გაიხსნა. (საკადესი).

რაიონულ პარტიულ კონფერენციებზე

როცა მასებში პოლიტიკური მუშაობის შეუფასებლობას იჩენენ

რაიონულ პარტიულ კონფერენციათა დასასრულებად კულტურის სახლის ფართო დარბაზში ჯგუფ-ჯგუფად შეკრებილი დელეგატები ერთმანეთს უზიარებდნენ აზრს რაიონის კოლმეურნეობათა მუშაობის მტკივნეულ საკითხებზე. სკოლებში სწავლა-აღზრდასა და სოფლად მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაზე.

ზნაურის რაიონი განსაკუთრებით ჩამორჩენილია სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში. ამიტომ ბუნებრივია, რომ კონფერენციაზე მომხსენებელი და კამათის მონაწილენი უმთავრესად ყურადღებას უთმობდნენ სოფლის მეურნეობაში არსებულ ნაკლოვანებათა კრიტიკას და იმ ღონისძიებებზე მსჯელობას, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს რაიონის მოწინავეთა რიგებში ჩაყენებას.

რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. ცხოვრებოვმა საანგარიშო მოხსენებაში პირუთვნელად გამოააშკარავა ნაკლოვანებანი და ანალიზი გაუკეთა ამ ნაკლოვანებათა გამომწვევ მიზეზებს. მაგრამ საქმეს მარტო კრიტიკა როდი შველის, მთავარია ბრძოლა ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის. ეს კი ზნაურის რაიონში არ ხდება.

როგორც კონფერენციაზე აღინიშნა, პარტიის რაიკომი მასებში პოლიტიკური მუშაობის შეუფასებლობას იჩენს. ამიტომ სოფლად საგიტაციო-მასობრივი მუშაობის ჩაშლას თან ხდევს „ამორჩენა კოლმეურნეობათა სამეურნეო საქმიანობაში.

რაიონის პარტიულ ორგანიზაციებს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაშლისა და მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე დაყენების ბევრი საშუალება აქვთ. მარტო კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი ათობით სასოფლო ბიბლიოთეკას, სამკითხველოსა და სასოფლო კლუბს მოიცავს. საკმაოდ ფართოა აგიტკოლექტივების, აგიტატორების, პროპაგანდისტების ქსელი. რაიონის ცენტრში არსებობს კულტურის სახლი. მაგრამ ყველა ეს საშუალება სრულად არ არის გამოყენებული. ამითაც აიხსნება ის, — თქვა თავის გამოსვლაში კომკავშირის რაიონული კომიტეტის მდივანმა ო. ბეგიაშვილმა, — რომ მთელ რიგ კოლმეურნეობებში ხშირია შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევები.

ზნაურის მტს-ის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ა. პაპაშვილმა კონფერენციის ტრიბუნიდან განაცხადა:

— მართლაც ფაქტია, რომ პოლიტიკური მუშაობა მასებში მოისუსტებს. ბევრ სოფელში კინოსურათებს იშვიათად უჩვენებენ. კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობას ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა. სოფლების ლოპანის, ბზისხევის, სამწყაროს კოლმეურნეობებში თვეების განმავლობაში არ იკითხება ლექციები და პოლიტიკური მოხსენებები.

აგიტატორების, აგიტკოლექტივების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების სუსტი მუშაობა შემთხვევითი როდია. პარტიის ზნაურის რაიკომს არაერთხელ განუხილავს ბიუროს სხდომებზე საკითხი კოლმეურნეობებში პოლიტიკური მუშაობის მდგომარეობის შესახებ, მაგრამ მიღებულ გადაწყვეტილებებს არ განამტკიცებენ ორგანიზატორული მუშაობით, რის გამო ეს გადაწყვეტილებანი ბევრ შემთხვევაში ქაღალდზე რჩება.

ამ საკითხზე კონფერენციაზე ილაპარაკეს პარტიის რაიკომის ინსტრუქტორმა მტს-ის ზონაში ს. კობერიძემ და სოფელ ყორნისის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ე. ჯიოევმა. მათ აღნიშნეს, რომ პოლიტიკური აგიტაციის დონე განსაკუთრებით დაბალია მექანიზატორთა შორის. მტს-ის პარტიულ ორგანიზაციაში სუსტად არის დაყენებული პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდა, სათანადო ყურადღება არ ექცევა სოციალისტური შეჯიბრების გაშლას. აღსანიშნავია, რომ მტს-ი სანახევროდაც ვერ ასრულებს კოლმეურნეობებთან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოებს. მაგალითად, წელს სიმინდის რიგთა შორის კულტივაციის გეგმა მხოლოდ 8,4 პროცენტით იქნა შესრულებული. მტს-ის მიზეზით სამარცხვინოდ ჩამორჩა აგრეთვე საშემოდგომო სამუშაოები. კონფერენციაზე მოიყვანეს იმის მაგალითები, რომ მთელ რიგ კოლმეურნეობებში უხეშად ირღვევა აგროტექნიკური წესები, ხოლო მტს-ი ზომებს არ იღებს ამ დარღვევათა გამოსასწორებლად.

როგორც კამათის მონაწილე დელეგატებმა თქვეს, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის დაბალი დონე იმითაც აიხსნება, რომ ამ მუშაობაში სუსტად მონაწილეობენ რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები. მშრომელთა წინაშე პოლიტიკური მოხსენებებით და ლექციებით იშვიათად გამოდიან რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ი. ქოქოევი, პარტიის რაიკომის მეორე მდივანი მ. ნადირაძე, მტს-ის დირექტორი მ. ფუხაევი და სხვები.

დელეგატების მოთხოვნით კონფერენციის რეზოლუციაში შეტანილ იქნა მუხლი იდეოლოგიური მუშაობის სერიოზულ ნაკლოვანებათა შესახებ. კონფერენციამ დაავალა პარტიის რაიონული კომიტეტის ახალ შემადგენლობას მეტი ყურადღება მიაქციოს აგიტატორების, აგიტკოლექტივების საქმიანობას, მასებში პოლიტიკური მუშაობის, მარქსისტულ-ლენინური პროპაგანდის გადაჭრით გაუმჯობესების საკითხებს.

* * *

შედგა ახლად არჩეული რაიკომის პლენუმი. პარტიის ზნაურის რაიკომის პირველ მდივნად არჩეულია ნ. ცხოვრებოვი, მეორე მდივნად — მ. ნადირაძე, მდივნად მტს-ის ზონაში — მ. გათიკოევი.

* * *

ჯავის რაიონი ძირითადად მთის ზონის კოლმეურნეობებს მოიცავს. ალპური და სუბალპური საძოვრები ხელსაყრელ პირობებს ქმნიან ამ რაიონში მეცხოველეობის აღმავლობისათვის. მართლაც, ერთი შეხედვით თითქოს ცუდი მდგომარეობა არ უნდა იყოს მეცხოველეობის განვითარებაში. მსხვილფეხა პირუტყვის სულადობის განვითარების გეგმა შესრულებულია 100,5 პროცენტით, მათ შორის ძროხებისა — 100,1 პროცენტით. რაიონში საშუალოდ ერთ ძროხაზე მიიღეს 819 ლიტრი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 800 ლიტრისა. კიდევ უკეთეს მაჩვენებლებს მიაღწიეს სოფლების ტონტობეთის, კოდიბინისა და ლეთის კოლმეურნეობებში.

მაგრამ ამ მაჩვენებლებს იქით, როგორც ამ დღეებში გამართულ რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე აღინიშნა, მეცხოველეობის განვითარებაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებები იფარება. მეცხოველეობის განვითარების გეგმები მხოლოდ მოწინავე კოლმეურნეობების მეოხებით სრულდება, კოლმეურნეობათა თითქმის ნახევარს კი თავი ვერ დაუღწევია ჩამორჩენისათვის.

პარტიის რაიკომის მდივანი ვ. სანაკოევი საანგარიშო მოხსენებაში იძულებული იყო ეღიარებინა, რომ რაიონში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა წვრილფეხა პირუტყვის განვითარებას, მიუხედავად იმისა, რომ ამისათვის ხელსაყრელი პირობები არსებობს.

როგორც დელეგატებმა თავიანთ გამოსვლებში აღნიშნეს, სერიოზული ნაკლოვანებანი მეცხოველეობაში იმითაც აიხსნება, რომ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა რაიონის კოლმეურნეობებში მოწყვეტილია პრაქტიკულ საქმიანობას, ცხოვრებას. როგორც კი პოლიტიკურ მუშაობაზე ჩამოვარდება სიტყვა, რაიკომში გიჩვენებენ აგიტატორების სიას, რომელშიც 289 კაცი ირიცხება. მაგრამ როგორც კონფერენციის დელეგატებმა სამართლიანად განაცხადეს, ამ აგიტატორების დიდი ნაწილი არავითარ მუშაობას არ ეწევა. წონის, მსხლებისა და ვანელის აგიტკოლექტივების მუშაობა თვითდინებაზეა მიშვებული. აგიტკოლექტივების ხელმძღვანელები ს. ცხოვრებოვი, პ. გაგლოევი, ბ. კაჩლაევი ასეთ შეუწყნარებელ მდგომარეობას რატომღაც ურიგდებიან, მათ შესახებ კი პარტიის რაიკომს აქამდე არ უმსჯელია.

ჯავის რაიონში ამკარად უგულებელყოფილია ლექციური პროპაგანდა. პარტიის რაიკომის ლექტორთა ჯგუფში 22 კაცია, მაგრამ მათი უმრავლესობა ლექციებს არ კითხულობს. კონფერენციაზე დაასახელეს ლექტორები ე. ჯიოევი, ი. კაჩმაზოვი და ჩ. სანაკოევი, რომლებიც უსულგულოდ მოეკიდნენ თავიანთი მოვალეობის შესრულებას, წლის განმავლობაში მათ ერთი ლექციაც არ წაუკითხავთ. როგორც გამოირკვა, ლექციების დიდ უმრავლესობას რეცენზიები არ უკეთდება.

მშრომელები მოითხოვენ ლექციებს, მოხსენებებს სოფლის მეურნეობის ეკონომიკის, საერთაშორისო საკითხებზე. მაგრამ პარტიის რაიკომი სათანადოდ არ ზრუნავს მშრომელთა ამ სურვილის დაკმაყოფილებისათვის. პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების ლექტორებს ბ. ქოქოევს, ი. კოჩიევს, ს. სანაკოევს, ზ. ჯიოევს საანგარიშო პერიოდში ერთხელაც არ წაუკითხავთ ლექცია სოფლად.

— პოლიტიკური მუშაობის ნაკლოვანებანი იმითაც არის გამოწვეული, — თქვა პარტიის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ი. გასიევმა, — რომ ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები ხშირ შემთხვევაში თავს არიდებენ ლექციებით და პოლიტიკური მოხსენებებით კოლმეურნეთა წინაშე გამოსვლას. რაიკომის ბიურო ყოველთვიურად ამტკიცებს კალენდარულ გეგმას, თუ რომელ კოლმეურნეობაში როდის, რა თემაზე და ვინ უნდა წაიკითხოს ლექცია ან მოხსენება. მაგრამ ბიუროს მიერ დამტკიცებული გეგმები შემდეგ არ სრულდება. ქვაისის ტყვია-თუთიის საბადოების მუშამ პ. ალბოროვმა აღნიშნა, რომ მაღაროელებს მოენატრათ კვალიფიციური ლექციის მოსმენა საერთაშორისო თემაზე. ქვაისა რაიონში ერთ-ერთი მსხვილი სწარმოა, მაგრამ იქ იშვიათად მიდიან ლექტორები და მომხსენებლები.

კონფერენციის დელეგატებმა თავიანთ გამოსვლებში ილაპარაკეს კოლმეურნეობებში კინომომსახურების ნაკლოვანებებზე. მთელ რიგ სოფლებში, განსაკუთრებით მთის სოფლებში, კინოსურათებს ხშირად თვეობით არ უჩვენებენ. კონფერენციის მონაწილეთა ყურადღება გამახვილებულ იქნა აგრეთვე ჟურნალ-გაზეთების გავრცელებისა და ხელისმომწერთათვის მათი დროზე მიწოდების საქმეში არსებულ ნაკლოვანებებზე.

კონფერენციის მიერ მიღებულ რეზოლუციაში დიდი ადგილი დაეთმო სოფლად მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებებს.

* * *

ახლად არჩეული რაიკომის პლენუმმა პარტიის ჯავის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია პ. ხარებოვი, მეორე მდივნად — ი. თედეევი, ხოლო მდივნად — ი. კოჩიევი.

ი. თედიაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.



სურათზე: გორის ბამბეულის კომბინატის მოწინავე მუშა ჯ. თოთლაძე ქსოვილთა საჩითავ დანადგარზე მუშაობის დროს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

მაღალხარისხოვანი მოდელური ფეხსაცმლისათვის

თბილისის ფეხსაცმლის მეორე ფაბრიკის კოლექტივმა 11 დეკემბრისათვის შეასრულა 1956 წლის საწარმოო გეგმა და სახელმწიფოს 723 ათასი მანეთის ზეგეგმითი მოგება მისცა.

ფაბრიკაში ახალი ტექნიკის დანერგვამ კოლექტივს გაუადვილა ფეხსაცმლის ხარისხის ამაღლება, ნედლეულისა და დამხმარე მასალების ეკონომიის გაწევა. ტყავის გამოჭრის გაუმჯობესებული მეთოდის დანერგვისა და მომჭირნეობის რეჟიმის მტკიცედ განხორციელების შედეგად 11 თვეში მიღებულია 180.000 კვადრატული დეციმეტრი საძირე ტყავის და 460.000 კვადრატული დეციმეტრი საზედაპირე ტყავის ეკონომია. ამ დაზოგილი ტყავიდან უკვე შეკერილია ბავშვის 14.000 წყვილი ფეხსაცმელი.

წელს ფაბრიკა სავაჭრო ქსელს აწოდებდა 10 ახალი მოდელის მიხედვით შეკერილ ფეხსაცმელს.

ფაიფურის ნაწარმი გეგმის გადამეტებით

მახარაძე. („კომუნისტის“ სპეც. კორ.). ფაიფურის ქარხნის კოლექტივმა წელს შესამჩნევად გააუმჯობესა გამოშვებული პროდუქციის როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი მაჩვენებლები. ამას დიდად შეუწყო ხელი ახალი ტექნიკისა და გაუმჯობესებული ტექნოლოგიის დანერგვამ, მოწინავე გამოცდილების გავრცელებამ.

წლიური საწარმოო დავალება ქარხნის კოლექტივმა 1 დეკემბრისათვის შეასრულა, ხოლო დეკემბრის პირველ დეკადაში წლიური გეგმის გადამეტებით გამოუშვა 123.000 მანეთის ფაიფურის ნაკეთობანი. საერთო პროდუქციის გამოშვების დავალების გადაჭარბებით შესრულებასთან ერთად 1 დეკემბრისათვის შრომის ნაყოფიერების ზრდის წლიური საგეგმო დავალება 5,4 პროცენტის გადამეტებით არის განაღდებული.

უკანასკნელ თვეებში ფაიფურის ნაკეთობათა მკეთებლებს შორის ბევრი ახალი ადამიანი დაწინაურდა. მათ შორის არიან ნოვატორი მუშები მ. ქერქაძე, ნ. მელუა და ო. სტეფანიანი.

ქარხნის კოლექტივმა იკისრა წლის ბოლომდე დამატებით გამოუშვას 100.000 მანეთის ფაიფურის ნაწარმი.

ლაპარაკობენ ინჟინრები

ჩავაგათ ახალი სამეურნეო წლისათვის მზადებაში ყველა ავტომბრძოლმშენებელი

ქუთაისელი ავტომობილმშენებლები სამი ტიპის ავტომობილებს უშვებენ. მათ მრავალი ახალი გაუმჯობესება შეიტანეს ამ მანქანების დეტალებისა და კვანძების კონსტრუქციაში და დეტალების დამუშავების ტექნოლოგიაში.

ძრავის საამქროს ტექნიკური განყოფილების მუშაკებმა შეცვალეს ერთ-ერთი დეტალის — ბარბაცას დამუშავების მეთოდი. წინათ ბარბაცას თავს ხელით ამუშავებდნენ, ახლა კი ალმასით ჩარხავენ და ორჯერ მეტი რაოდენობით იძლევიან ამ დეტალებს, ვიდრე წინათ. ძველი კონსტრუქციის ბარბაცას შეზეთვა ხდებოდა ბარბაცას ტანში არსებული ღრმა ნახვრეტიდან. ახალი კონსტრუქციის ბარბაცას შეზეთვა ხდება უფრო მარტივად, შეშხეფებით.

მეორე მნიშვნელოვანი საავტომობილო დეტალის, ე. წ. მბიძგავის დამუშავებისას ანთალის სახით იკარგებოდა დიდძალი ლითონი. დანაკარგების თავიდან ასაცილებლად ახლა მბიძგავებს ავტომატურ ჩარხზე ამუშავებენ და ამის შედეგად ყოველწლიურად სულ ცოტა 100 ტონა ლითონის ეკონომიას აღწევენ. ასევე გაუმჯობესდა განმანაწილებელი ლილვის კბილანების დამუშავება.

მრავალი ტექნიკური სიახლე დაინერგა ქარხნის სხვა საამქროებშიც. საწნეხე-საძარე საამქროს მოწინავე ინჟინერმა ლ. თურმანიძემ შემოიტანა წინადადება ავტომობილის ძარას ამყარავებელი მექანიზმის სამაგრი კონსტრუქციის გაუმჯობესების შესახებ. ამ წინადადების დანერგვით გაუქმდა აღნიშნული მექანიზმის ორი დეტალი, საგრძნობლად შემცირდა ლითონის ხარჯი და ქარხანამ 50 ათასი მანეთი ეკონომია მიიღო.

ტექნიკურ სიახლეთა დანერგვაში კარგი მიღწევები აქვს ქარხნის სამჭედლო საამქროს, სადაც ყოველდღიურად ავტომობილებისათვის საჭირო მრავალი სახელწოდების დეტალები იჭედება. ამ საამქროს ინჟინერმა ა. წიქორიძემ შეიმუშავა ავტომობილის ხელის მუხრუჭის ბერკეტის დამუშავების ახალი ტექნოლოგია, რომელიც მნიშვნელოვნად აამაღლებს ამ დეტალის ხარისხს, ორჯერ ზრდის შრომის ნაყოფიერებას და ყოველწლიურად 15 ათას მანეთ ეკონომიას იძლევა.

ნიჭიერ, შემოქმედებითი ენერგიით აღსავსე რაციონალიზატორთა შორის არიან ქარხნის მოწინავე ადამიანები — ი. ხაზარაძე, გ. ჯინჭარაძე, ა. რეხვიაშვილი, ნ. კუკუხიძე, ნ. გერასიმოვი, გ. კოჩეტკოვი და მრავალი სხვა. სერიოზული ამოცანების გადაწყვეტა მოუხდება ქარხნის კოლექტივს 1957 წელს. ქუთაისელმა ავტომობილმშენებლებმა მომავალ წელს უნდა გამოუშვან ბევრად მეტი ავტომანქანა, მათ შორის ახალი მარკის ავტომობილები, ამასთან უნდა მოვაცილენ მრავალი ათასი ცალი ავტომანქანის ძრავა და სხვა მრავალი საავტომობილო სათადარიგო ნაწილები.

ახალი სამეურნეო წლის გადიდებული ამოცანების შესასრულებლად ქარხნის კოლექტივი უკვე შეუდგა მზადებას. მაგრამ ამ საქმეში ჯერ კიდევ არ არის ჩაბმული ქარხნის ყველა მუშაკი. ქარხნის სამეურნეო, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელების ვალია 1957 წლის ამოცანების შესასრულებლად უფრო მჭიდროდ დარაზმონ ქარხანაში მომუშავე რაციონალიზატორები, ამთავითვე დაამუშაონ რაციონალიზატორული მუშაობის თემატიკა და ამით უზრუნველყონ ტექნიკური პროგრესის უფრო სწრაფი განვითარება.

საჭიროა ახალი სამეურნეო წლისათვის მზადებაში ჩავაბათ ქარხნის მთელი კოლექტივი, ყველა ავტომობილმშენებელი.

ნ. ვარდოსანიძე,
ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის კადრების განყოფილების ინჟინერი.

ეფექტიანი საშუალება

ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის ხის დამმუშავებელ კომბინატში ყოველდღიურად ასობით კუბმეტრი საშენი ხე-ტყის დამუშავება გვიხდება. ჩვეულებრივად ამ მასალის დაახლოებით 40-45 პროცენტი წვრილი ჩამონაჭრების სახით რჩებოდა, როგორც დანაკარგი, რომელსაც უკეთეს შემთხვევაში, შეშად ვიყენებდით. გადავწყვიტეთ ეს ნარჩენები (ჩამონაჭრები) რაციონალურად გამოგვიყენებინა. ამისათვის მოვაწყეთ ე. წ. შენაწები კონსტრუქციების ახალი საამქრო.

ჩამონაჭრებს ერთმანეთზე ვაწებებთ სპეციალური წებოთი, რომელიც შედგება ფის — „ბ“-ს (ან ე. წ. ფენოლ-ფარმარდეგიტური წებო) და ნავთის კონტაქტისაგან (20-25 პროცენტი). როგორც ცნობილია, ამ ნივთიერებებს ერთმანეთთან ცივად შერევამდე შეწებების თვისება არა აქვთ, შერევის შემდეგ კი ვიღებთ მეტად ძლიერი მოქმედების წებოვან სითხეს. ამგვარ წებოში ამოვლებულ ხის ჩამონაჭრებს დურგლები ლითონის ჭახრაკებში აწყობენ, ხრახნს უჭერენ და ჭახრაკებს 6-8 საათის განმავლობაში გამოსაშრობ კამერაში ათავსებენ, სადაც 50-60 გრადუსი ტემპერატურაა. გამოშრობის შემდეგ ხის ნაჭრები ისე მჭიდროდ არიან შეწებებული, რომ გადაბმის ადგილას მათი დაცილება შეუძლებელი ხდება. ასეთი გზით დამზადებული ფიცარი ჩვეულებრივზე ბევრად მკვრივია, მასზე ვერ მოქმედებს წყალი, სინესტე და ატმოსფერული ცვლილებები. ჩამონაჭრებისაგან შეკოწიწებულ ფიცრებს ტექნიკურად დამუშავების შემდეგ წარმატებით ვიყენებთ იატაკის დასაგებად, ფანჯრის რაფების დასამზადებლად.

წელს მარტო ნოემბერში შენაწები კონსტრუქციების საამქროში 600 კვადრატულ მეტრზე მეტი ხის საიატაკე ფილები და საფანჯრე რაფები დავამზადეთ. ხის მონარჩენების ასეთი რაციონალური გამოყენებით კომბინატის კოლექტივს საშუალება ეძლევა მარტო იატაკის ფიცრის დამზადებისას 172 კუბმეტრი ხე-ტყის ეკონომია გასწიოს და წარმოებას 50.000 მანეთი დაუზოგოს.

ი. ამირაგოვი,
ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის ხის დამმუშავებელი კომბინატის მთავარი ინჟინერი.

რესპუბლიკაში წლის გოლომდე გავასუქოთ 60.000 ღორი

მკვეთრად გავაღიდოთ ღორის ხორცის წარმოება

მეღორეობის ფერმის შენობას, რომელიც შარშან ააგეს, ალაგ-ალაგ სახურავი ჩანგრევია და სადგომებში წყლის გუბეები დგას. ალბათ ფერმის მუშაკებს ჰგონიათ, „ღორს ლაფი უყვარსო“. მათ არ აწუხებთ ის გარემოება, რომ გამოსაზამთრებლად ტყიდან დაბრუნებულ ღორს სადგომებში აზელილი ლაფი დახვდება. ასეთ ფაქტებს შევხვდით სოფელ საგარეჯოს კოლმეურნეობა „ახალ შრომაში“.

უხეირო სადგომების, მოუვლელობისა და ცუდი კვების შედეგად გასასუქებლად დაყენებული ღორები დაჯანდაგებული არიან. ამიტომ იყო, რომ წელს აქ 150-მდე სული ღორი მოუკვდათ.

მიუხედავად იმისა, რომ კოლმეურნეობის გამგეობას და პარტიულ ორგანიზაციას პარტიის საგარეჯოს რაიონულმა კომიტეტმა, ადგილობრივმა პრესამ მიუთითეს ნაკლოვანებათა გამოსწორების გზებზე, მათ ჯერ კიდევ არ მიუღიათ გადამწყვეტი ზომები. მდგომარეობა უცვლელი დარჩა. კოლმეურნეობაში გასასუქებლად დაყენებულია 40 სული ღორი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 180-ისა.

ღორების გასუქების საქმე უყურადღებოდ არის მიტოვებული საგარეჯოს რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაშიც. მეღორეობის ფერმის გამგემ ა. დარისპანიშვილმა ისიც კი არ იცოდა, რამდენი ღორი ჰყავდათ გასასუქებლად დაყენებული. ამ კოლმეურნეობის ხელმძღვანელები ტყეში გაყვანილ ღორებს დროულად არ აწვდიან დამატებით საკვებს. ეს არ აწუხებს კოლმეურნეობის თავმჯდომარეს კ. კერატიშვილს. კოლმეურნეობას ჯერჯერობით არც ერთი გასუქებული ღორი არ ჩაუბარებია სახელმწიფოსათვის.

უკეთესი მდგომარეობა არც ახალსოფლის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის მეღორეობის ფერმაშია. ამჟამად აქ 25 სულ ღორს ასუქებენ, გეგმა კი 120 სულს ითვალისწინებდა. ფერმაში შექმნილი არ არის მტკიცე საკვები ბაზა. ჩამორჩენილთა რიცხვს ეკუთვნიან ხაშმისა და თოხლიაურის კოლმეურნეობათა მეღორეობის ფერმებიც.

სოფელ პატარძეულის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეღორეებს მეოთხე კვარტალში უნდა გაესუქებინათ 250 სული ღორი. უკვე გაასუქეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 80 სული ღორი 6 ტონისა და 547 კილოგრამის რაოდენობით.

ამ კოლმეურნეობის ფერმას ღორების დიდი ნაწილი ტყეში ჰყავს. აქ პრიმიტიული სადგომები აქვთ. ტყეში ბლომად არის რკოსა და წიფლის მოსავალი, მაგრამ მარტო ეს როდი განაპირობებს ღორის ხორცის წარმოების გადიდებას.

ცნობილია, რომ გასუქებაზე დაყენებული ღორი უნდა იკვებებოდეს მრავალფეროვანი, ყუათიანი საკვებით. პატარძეულელთა ღორები მთელი დღის განმავლობაში ტყეში დადიან საკვების საძებნელად და წყლის დასალევად, რაც უდავოდ აჭიანურებს გასუქების ვადებს.

პატარძეულელები გვიმტკიცებენ, რომ მათი ღორები დღე-ღამის განმავლობაში საშუალოდ 400-500 გრამამდე იმატებენ. მაგრამ საეჭვოა ასეთ პირობებში ამის მიღწევა. პატარძეულელებს აქვთ ღორების ელექტროფიცირებული სადგომი, რომელიც გონივრულად უნდა იქნას გამოყენებული.

სოფელ მანავის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის მეღორეებს გეგმით მეოთხე კვარტალში გასუქებაზე უნდა დაეყენებინათ 76 სული ღორი. კიდევაც დაყენეს. აქედან 40 ღორი ბაგურ კვებაზეა. საკმაოდ აქვთ სიმინდი, ქერი და კოპტონი. ღორი მოსვენებულია, სუფთად არის, მუდამ აქვს სასმელი წყალი და ყოველდღიურად იწონება. ამის შედეგად მანავის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის ფერმაში ღორების სიკვდილიანობა არ ყოფილა და გასუქებაზე დაყენებული ღორები დღე-ღამეში საშუალოდ 600-700 გრამს იმატებენ.

საგარეჯოელებმა გადამწყვეტი ზომები უნდა მიიღონ იმისათვის, რომ მეოთხე კვარტალში გეგმით გათვალისწინებული 2.146 ღორი გაასუქონ. ამის პირობები მათ აქვთ და კიდევაც უნდა შეასრულონ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება.

რ. ჭიჭინაძე.

წიგნი სოფლად

ტყიბული. (საკ. კორ.). საკოლმეურნეო სოფელში სულ უფრო იზრდება მოთხოვნილება წიგნზე. ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად სოფლის ბიბლიოთეკებსა და სამკითხველოებში მატულობს წიგნის ფონდი. მარტო მიმდინარე წლის ათ თვეში ბიბლიოთეკა-სამკითხველოების შესავსებად შეძენილია 103.500 მანეთის პოლიტიკური, მხატვრული და ტექნიკური ლიტერატურა.

ამას წინათ ახალი სასოფლო ბიბლიოთეკები გაიხსნა სოფლების ნაბოსლევისა და ციხიის კოლმეურნეობებში.

სურათზე: მეურნეობის მეცხვარეობის მესამე ფერმის გამგე ი. ჩარაშვილი გაზეთს უკითხავს მწყემსებს.

ფოტო ე. გველუკაშვილისა.

წითელწყაროს რაიონის ცენტრს რამდენიმე ათეული კილომეტრით არის დაშორებული ელდარის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობა. აქ მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება ცხვრის ჯიშის გაუმჯობესებისათვის. ამ მხრივ უკანასკნელ წლებში მოპოვებულია საყურადღებო წარმატებანი.

ამ მეურნეობაში დიდი ხანია მუშაობს ცნობილი სელექციონერი ი. ბაძოშვილი. მან დაუღალავი შრომით მიაღწია იმას, რომ გამოიყვანა ნაზმატყლიანი და დუმიანი ახალი ჯიშის ცხვარი. ახლაც დიდი შემოქმედებითი მუშაობა მიმდინარეობს ამ ჯიშის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი ენერგიულად იბრძვის იმისათვის, რომ ჩვენს ქვეყანას მისცეს მეტი მაღალხარისხოვანი მატყლი და მეცხოველეობის პროდუქტები. მწყემსები თავდადებით შრომობენ ცხვრის სანიმუშოდ გამოზამთრებისათვის. ისინი საძოვრებზე უზრუნველყოფილი არიან კულტურული მომსახურებითაც. იღებენ ახალ ჟურნალ-გაზეთებს და სისტემატურად ეცნობიან ჩვენი ქვეყნის მიღწევებს, საერთაშორისო ამბებს.

ლიტერატურა და ხელოვნება

სტუდენტთა საესტრადო ორკესტრი

ათიოდე წლის ისტორია აქვს საქართველოს ს. მ. კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საესტრადო ორკესტრს. იგი 1947 წლის დასაწყისში ჩამოყალიბდა სტუდენტ იოსებ ტუღუშის (ამჟამად ასპირანტი) ხელმძღვანელობით. საესტრადო ორკესტრის შემადგენლობაშია 38 ორკესტრანტი, ვოკალისტი, მოცეკვავე და პროგრამის წამყვანი.

სტუდენტები შემსრულებლები წარჩინებით სწავლასთან ერთად შეთქმედებით მუშაობას ეწევიან საესტრადო ხელოვნების განვითარებისათვის.

ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ სტუდენტთა საესტრადო ორკესტრმა პირველად 1953 წელს იმოგზაურა. იგი იყო მოსკოვში, სადაც გამართა კონცერტები ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში და დედაქალაქის სხვა უმაღლეს სასწავლებლებში, ხელოვნების მუშაკთა ცენტრალურ სახლში, კინოარქიტექტორის სახლში, ქარხნებსა და ფაბრიკებში, საბჭოთა არმიის ნაწილებში.

მოსკოვში საესტრადო ორკესტრმა მაყურებლის მოწონება დაიმსახურა.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის საესტრადო ორკესტრი სისტემატურად მართავს კონცერტებს ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში.

წელს თბილისში სტუმრად იმყოფებოდნენ ფრანგი კომუნისტების ორგანოს გაზეთ „ლუმანიტეს“ თანამშრომლები, რომლებიც დაესწრნენ ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში გამართულ ახალგაზრდობის საღამოს. ამ საღამოზე მონაწილეობა მიიღო საესტრადო ორკესტრის კოლექტივმა, რომლის სიმღერების რეპერტუარი ფრანგმა სტუმრებმა ჩაწერეს ფირზე, რაც შემდეგ ტრანსლირებულ იქნა პარიზის რადიოს მიერ. მათი კონცერტების ჩანაწერებს ხშირად გადასცემენ პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის და რუმინეთის რადიოსადგურები.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საესტრადო კოლექტივი ასრულებს ქართულ და საბჭოთა კავშირის სხვა ხალხთა სიმღერებს, საესტრადო ცეკვებს. სიმღერების ტექსტები ეკუთვნის პოეტებს ი. გრიშაშვილს, ნ. კილასონიას და საესტრადო ორკესტრის წევრებს ა. გელოვანს, ა. ლორიას, ი. მამაცაშვილს, მუსიკა კომპოზიტორებს გ. ცაბაძეს, ი. დუნაევსკის, პ. ნალბანდიშვილს, აგრეთვე ორკესტრის წევრებს ი. ტუღუშს, გ. ბზვანელს და სხვ.

მაყურებელთა შორის მოწონებასა და სიყვარულს იმსახურებს ორკესტრის იუმორისტი-იმიტატორი, გეოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტი თენგიზ ჩანტლაძე.

საესტრადო ორკესტრის შემადგენლობაში როგორც ინსტრუმენტალისტ-შემსრულებლებს, ისე მომღერლებს შორის ბევრი ნიჭიერი სოლისტია. ვოკალური კვარტეტი გ. ბზვანელის, თ. ცინცაძის, გ. ბაკურაძის და შ. ხარაბაძეს შემადგენლობით მიმზიდველად და ტემპერამენტით ასრულებენ (ამავე კვარტეტის სოლისტის გ. ბზვანელის სიმღერებს — „ლირიკული დუეტი“, „ქარი აშარი“, „დამელოდე“ და სხვ.

მოწონებას იმსახურებს ვოკალისტი ქალების ნ. ბრეგვაძისა და ი. ხაჩატუროვას მიერ შესრულებული მელოდიები ქართულ და უცხო ენებზე.

საესტრადო ორკესტრის წარმატებას ხელს უწყობს ქორეოგრაფიული ნომრები, რომლებსაც ასრულებენ ახალგაზრდობის ვარშავის მეხუთე მსოფლიო ფესტივალის ლაურეატი ბ. ბურაძე, ბ. კაპანაძე, ა. ბერაძე, ო. პაპიაშვილი.

საესტრადო ორკესტრს ჰყავს პროგრამის წამყვანი შესანიშნავი მსახიობები ა. გელოვანი, ა. ლორია, ი. მამაცაშვილი, რომლებიც მსუბუქი და ჯანსაღი იუმორით ასრულებენ მთელ რიგ საინტერესო ნომრებს. თვით ორკესტრის პროგრამა ფართო და მრავალფეროვანია.

საზამთრო არდადეგების პერიოდში საესტრადო ორკესტრი საგასტროლოდ ეწვევა მოსკოვს, ლენინგრადსა და რიგას, სადაც რამდენიმე კონცერტს გამართავს.

ბ. გასტურიძე.

* * *

სურათზე: საქართველოს ს. მ. კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საესტრადო ორკესტრი.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

ფერუნ თორგომიანის მოთხრობების კრებული

საქართველოში მცხოვრებ საბჭოთა სომეხ პროზაიკოსთა შორის ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ფერუნ თორგომიანი. იგი სამწერლო ასპარეზზე დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გარიჟრაჟზე გამოვიდა და მიუზედავად იმისა, რომ იგი უსინათლოა, მას დღემდე კალამი ხელიდან არ გაუშვია.

ამას წინათ სახელგამმა სომხურ ენაზე გამოსცა ფერუნ თორგომიანის მოთხრობების კრებული, რომელშიც დაბეჭდილია მოთხრობები: „მეღუმელე“, „დარდიმანდი კარო“, „გულიდან ამონახეთქი მღელვარება“, „დედა ნაქადი“, „კოლხიდა“, „გმირის სიკვდილი“ და სხვ.

მწერალს თავისი მოთხრობების გმირთა ხასიათები, მათი სულიერი სამყარო თავისებური ხერხით აქვს გახსნილი. მწერალი ნაწარმოებებს ამდიდრებს ხალხური სიბრძნით, ისტორიული ფაქტებით.

წიგნი შეიცავს 204 გვერდს და ღირს 5 მანეთი.

ღიმღერავენარული ნრე

საინტერესო შემოქმედებითს მუშაობას ეწევა სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ლიტერატურული წრე, რომელიც უკვე 25 წელია არსებობს. ამ ხნის განმავლობაში წრის მეცადინეობებზე მრავალმა მუშა-პოეტმა მიიღო ლიტერატურული ნათლობა.

უკვე 9 წელია წრის მუშაობას ხელმძღვანელობს პოეტი ვ. გორგანელი. წრის წევრები საამქროებში ხშირად მართავენ ლიტერატურულ დღლებს, საცხოვრებელ სახლებში — ლიტერატურულ საღამოებს.

შინაარსიანად მიმდინარეობს წრის მეცადინეობა. ეწყობა წრის წევრების ლიტერატურულ ნაწარმოებთა განხილვა. იმართება შეხვედრები მწერლებთან, მოსწავლეებთან.

ამას წინათ ქარხნის ლიტერატურული წრის წევრები შეხვდნენ თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ლიტერატურული წრის წევრებს. მუშა-პოეტებმა და მოსწავლეებმა წაიკითხეს საკუთარი ლექსები და მოთხრობები.

ფრიდრიხ შილერი ქართულ ენაზე

ფ. შილერის ცალკეულ ნაწარმოებებს ქართულ ენაზე ჩვენი მკითხველი ჯერ კიდევ გასული საუკუნეში გაეცნო, ხოლო საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მკითხველთათვის ხელმისაწვდომი გახდა უფრო ღრმად გასცნობოდნენ დიდი შემოქმედის ლიტერატურულ მემკვიდრეობას.

ქართულ ენაზე გერმანული კლასიკური ლიტერატურის თარგმნის საქმეში წლების მანძილზე ნაყოფიერად მუშაობს პოეტი ხარიტონ ვარდოშვილი. ახლახან გამომცემლობა „საბჭოთა მწერალმა“ ქართულ ენაზე გამოსცა ფ. შილერის ნაწარმოებები, რომელთა თარგმანი შესრულებულია ხ. ვარდოშვილის მიერ. კრებულში შეტანილია ბალადები და ლირიკული ლექსები: „თასი“, „ხელთათმანი“, „გამარჯვებულთა ზეიმი“, „სიმღერის ძალა“, „ვასეირნება“, „გოგონას მოთქმა“, „სიმღერა ზარზე“, „სურვილი“ და სხვ.

წიგნს დართული აქვს ოთარ ჯინორიას წინასიტყვაობა — „შილერის ლირიკა“ და გიორგი ნადირაძის შენიშვნები. მხატვრული გაფორმება ეკუთვნის თ. ასიტაშვილს. წიგნის ტირაჟია 5.000, გვ. 158, ფასი 6 მან. 75 კაპ.



სარევევია

წარმოიდგინეთ სულის და გულის გამხარებელი მოხასხასე მდელო, მწვანედ მობიბინე ჯეჯილი, როგორ გატკბობთ იგი!

ეს არის ჩვენი ჩინებული ახალგაზრდობა, საბჭოთა ახალგაზრდობა — მშობლიური პარტიისა და მთავრობის მზრუნველობით აღზრდილი. ეს ახალგაზრდობა ახარებს ჩვენს ქვეყანას, ხალხს, ყოველი საბჭოთა პატრიოტის გულს შესანიშნავი თვისებებით, გმირული შრომის, ბრძოლისა და ბეჯითი სწავლის შთამაგონებელი მაგალითებით, შორეულ მელბურნში მოპოვებული ოლიმპიური მედლებით, ჭადრაკის დაფებზე მიღწეული გამარჯვებებით, თეატრის, მუსიკის, ფერწერის, კინოს ნიჭიერი ნაწარმოებებით. და ხალხი ერთნაირი სიყვარულით და სიამაყით ულოცავს შემოქმედებითს წარმატებებს ქართველ ჭაბუკ მეფოლადესაც და სცენის ოსტატ ქართველ ქალიშვილსაც.

მაგრამ წარმოიდგინეთ ამ მდელოში, ამ ყვავილნარში ზოგან მოდებული სარეველა ბალახი, როგორ აფერხებს და ზიანს აყენებს იგი საღი მცენარის გაშლა-გაფურჩქვნას.

სამწუხაროდ, ქვემოთ ლაპარაკი გვექნება სწორედ ამ სარეველზე — ულიარს ახალგაზრდებზე, პირდაპირ ხულიგნებზე, უსაქმურობისა და დებოშის „რომანტიკოსებზე“ ჯერ კიდევ აქა-იქ რომ მოსდებიან ჩვენს ლამაზ ყვავილნარს.

მათ არ გააჩნიათ ქცევის რაიმე ნორმა, ერთმანეთს ეჯიბრებიან შორს გადაფურთხებაში, საზოგადოება მათთვის თითქოს კოჭებამდე წყალი იყოს, რომელსაც შეიძლება თავისუფლად გადაახტე, გასტოპო, გასცურო, მკლავის ძალა გამოსცადო.

ადამიანის ქცევის ნორმების განმსაზღვრელი ხომ სინდისია, შეგნებაა, საზოგადოებისა და საკუთარი თავისადმი პატივისცემის გრძნობაა. ამ პრინციპებიდან თავისუფალი, ესე იგი შუბლგარეცხილი კაცი საშიში მოვლენაა, მისი გამოჩენა საფრთხეა.

ვინ არიან ესენი, ადამიანთა რა კატეგორიას განეკუთვნებიან? ესენი სავსებით ნორმალური ადამიანები არიან, თავიანთი სიცოცხლის ნამდვილი გაფურჩქვნის, ნამდვილი გაზაფხულის პერიოდში—ჩვიდმეტ-ცხრამეტი წლის ასაკში, ტანაშოლტილნი, გარეგნული სილამაზით დაჯილდოებულნი, უკანასკნელი მოდის ტანსაცმლით შემკულნი და დამშვენებულნი, წვერულვაშაკკრილნი...

ეს გარეგნობა.

ახლა ჩავიხედოთ მათს სულში, მათს შინაგან სამყაროში — რით სუნთქავენ, რა იდეალები ამოძრავებთ, რისკენ მიისწრაფვიან, რით არის გართული მათი გული და გონება?

აქ კი ჩვენ სრულ ქაოსს ვაწყდებით. ლამაზი გარეგნობის მიღმა ვხედავთ მხოლოდ სიცარიელეს, ქარაფშუტა სულს, დაკნინებულ ბუნებას, დახურდავებულ ხასიათს, ყველაფერს, გარდა ნამდვილი, ჭეშმარიტი ადამიანური თვისებებისა.

იერემია წარბასა და ტარიელ მკლავაძის მიმბაძველთ სწორედ რუსთაველის პროსპექტი — ჩვენი დედაქალაქის ყველაზე ხალხმრავალი ქუჩა აურჩევიათ მოქმედების ასპარეზად. მოქმედების ხასიათია ხულიგნობა — ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების დღემდე შემორჩენილი ყველაზე ავთვისებიანი სიმსივნე, სახიფათო მუწუკი, მავნე სარეველა, რომელსაც მოჭრა, ამოკვეთა, ამოძირკვა სჭირდება.

აი მიდიხართ გზაზე, სამუშაოდ თუ სხვა საქმეზე მიგიჩქარებათ. უცებ ვიღაცის ძალუმი მხარული გაფრთხობთ და საკმაოდ გაჯანჯღარებთ. ნაბიჯი გერევათ. მიმოიხედავ — გარშემორტყმული ხართ. ერთი ცინიკური ღიმილით შემოგცქერით, მეორე გამომწვევად გიბღვერით, მესამის მკაცრი გამოხედვა გაფრთხილებთ — „მოუსვით“ სანამ რაიმეს არა გწევენ. უწმაწურ სიტყვებს სეტყვასავით გაყრიან. მხრებს იწურავთ, საკუთარი თავისთვის ანგარიში ვერ მიგიციათ, თვალებს აცეცებთ, გრცხვენიათ — ნაცნობმა ვინმემ ხომ არ დაგინახათ. შეურაცხყოფილს სირცხვილით ლოყა აგელეწებათ. გამვლელი აბა რათ აიტკენს აუტკივარ თავს — ერთს შემოგხედავთ და გზას გაუდგება. გიხარიათ, რომ იოლად გადარჩით...

მაგრამ იმ დღეს, 8 დეკემბერს იოლად არ გადარჩენილა ახალგაზრდა მოქალაქე ნ., რომელიც ორ ქალიშვილთან ერთად მიდიოდა თავისთვის გზაზე.

„—შენ რომელს აირჩევ, ზვიადო?“

ზვიადი ზვიადად გადასცქერის მსხვერპლს.

„მარცხენას, ცხადია!“ — ისმის მოკვეთილი პასუხი.

„მაშ ჩვენ როგორმე მარჯვენასთან მოვრიგდებით“, — ჩაილაპარაკებს ანატოლი, და ქუჩის „რაინდები“ გარს ერტყმიან ახალგაზრდა ქალ-ვაჟთ.

რა ქნას ახალგაზრდამ? იგი თავდამსხმელთ მოუწოდებს წესრიგისაკენ. ისინი კი აინუნშიც არ იგდებენ ჭაბუკს, — მუშტით გაინაპირებენ მას. ინციდენტის ადგილას ცნობისმოყვარეთა მთელი გროვა იყრის თავს. ხულიგნებს არავინ მოუწოდებს წესრიგისაკენ, უდანაშაულებს არავინ ექომაგება. ჩანს, საქმე მკლავის ძალამდე მიდის. ქალ-ვაჟნი ისწრაფვიან ტრამვაის გაჩერებისაკენ, რომ თავს უშველონ. ადიან ტრამვაიში, მაგრამ თავზეხელაღებულნი ვაგონშიც მისდევენ მათ. გრძელდება თავაშვებულობა, ძიძგილი, მუშტების მოღერება, უწმაწური სიტყვებით შეურაცხყოფა. მოთმინების ფიალა ივსება. გამომქომაგებელი არავინ ჩანს. სად ხდება ეს? — დედაქალაქში, საღამო ჟამს, ხალხმრავალ ქუჩაში.

გავხსნათ ფრჩხილები, ვამხილოთ ჩვენი დროის ქუჩის „რაინდები“. ესენი გახლავან: ზვიად- გამსახურდია, ანატოლ- მიქაძე, ვლადიმერ სიხარულიძე, თამაზ გუნჯუა, თეიმურაზ ცერცვაძე, თემურ მეტრეველი, მერაბ კოსტავა... თითქმის არ-ყოფილა საღამო, რომ მათ ქუჩაში დებოში არ აეტეხოთ, ხულიგნური გამოხდომებით გამვლელ-გამომვლელნი, ჩვენი ქალაქის მშრომელები არ აღეშფოთებინოთ.

ვინ არიან ესენი? იქნებ უდედმამონი და მშობლიურ ზედამხედველობას მოკლებულნი? — სრულიადაც არა.

დავუშვათ ასეთი რამ: შედიხართ წიგნის მაღაზიაში. არჩევთ სიახლეს. თვალს იპყრობს ჩვენი ცნობილი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას ახალი რომანი — „ვაზის ყვავილობა“. ყიდულობთ. შინ მიგიხარიათ. გზაშივე ინტერესით ფურცლავთ წიგნს... ამ დროს პირველად აღწერილი ინციდენტი გატყდებათ თავს — ვიღაც მძლავრად გეჯახებათ და ზედ უწმაწური სიტყვების კორიანტელსაც გაყრით. წაფორხილდებით. ეს სქელტანიანი წიგნი ხელიდან გივარდებათ.

„ვინ არის, კაცო, ეს ბანდიტი?“ — უნებლიედ აღმოგხდებათ გულიდან.

იცნობდეთ — ზვიად კონსტანტინესძე გამსახურდია — მწერლის შვილი... ხომ გულსატკენია? მაგრამ სამწუხარო ფაქტია!

ვის ბაძავს მწერლის შვილი? ნუთუ მასთან უფრო ახლოს არ უნდა იყვნენ თუნდაც ის დადებითი გმირები, რომლებიც მამამისის ნაწარმოებებში გვევლინება? რათ უნდა ჰბაძავდეს იგი წყეული წარსულის ხორცმეტებს — იერემია წარბასა და ტარიელ მკლავაძეს? ნება გვიბოძეთ კონსტანტინე გამსახურდიავ, გკითხოთ: როგორ მოხდა, რომ „დიდოსტატის მარჯვენის“ ავტორმა მხატვრული პროზის ოსტატის თქვენი საკუთარი მარჯვენა ვერ განავრცეთ თქვენს საკუთარ შვილზე?!

იქნებ ანატოლ მიქაძეა მშობლებს მოკლებული და ამიტომ უზედამხედველოდ იზრდება? არა. მისი მამა აბესალომი თბილისის პედაგოგიკის ინსტიტუტის სექტორის გამგეა.

ზოგჯერ მამა-შვილს შორის ოჯახში ასეთი დიალოგი იმართება:

„ტოლიკ, ბიჭი, წადი, რა, სტუმარი უნდა მომივიდეს“.

„წავიდე? მაიტა ფული და წავალ, არ მომცემ, არ გავალ!“.

„აჰა ხუთი, გეყოფა?“.

„ხუთი თუმანი რა ფულია!“.

„აჰა კიდევ, ჩქარა წადი“.

კი მაგრამ სტუმარს რას უშლის ანატოლი? — ეს „განსაკუთრებული“ სტუმარია... საეჭვო ქალი! რა უნდა ისწავლოს ანატოლომ იმ მამისაგან, ვინც ოჯახი დაანგრია და ქარაფშუტულ ცხოვრებას მიჰყო ხელი!.. ვფიქრობთ გასაგებია თუ რატომ ვერ იყენებს ასეთი მამა თავის „პედაგოგიურ ნიჭს“ საკუთარი პირმშოს აღსაზრდელად.

...იქნებ ვლადიმერ სიხარულიძეა უდედმამო? — არა, ღმერთმა დაიფაროს! ვლადიმერის მამა საკმაოდ ცნობილი ამხანაგი ვასო სიხარულიძეა, პასუხისმგებელი საბჭოთა მუშაკი. პასუხსაგები პოსტები უკავიათ აგრეთვე დანარჩენი ხულიგნების მამებს. ტარასი გუნჯუა სამედიცინო ინსტიტუტის დოცენტია; გიორგი ცერცვაძე — საბჭოთა არმიის პოდპოლკოვნიკი, დიმიტრი მეტრეველი — საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სამინისტროს უფროსი კონტროლიორი; განათლების დარგის მუშაკია ვლადიმერ დემურიაც, ვისთანაც იზრდება ამ ხულიგანთა „თაიგულის“ წევრი მერაბ კოსტავა, პატივცემული პედაგოგის შვილიშვილი.

იქნებ სკოლის გარეთ არიან ეს ახალგაზრდები და ამიტომ გზას აცდენილან? — არა.

თბილისის პირველ საშუალო სკოლაში მრავალი საუცხოო ახალგაზრდა იზრდება, მაგრამ მათთან ერთად ჯერ კიდევ ვხედავთ ხულიგანთა ზემოდდასახელებული „თაიგულის“ წევრებს ვლადიმერ სიხარულიძეს, თამაზ გუნჯუას და თეიმურაზ ცერცვაძეს. ვერც 47-ე და 42-ე სკოლების [illegible] მოსწავლეთა შორის - არმზრდელობითი მუშაობის [illegible] ... სწავლობენ ხულიგანები ხშირად გამსახურდია, თემურ მეტრეველი და ანატოლ მიქაძე. როგორც სჩანს სკოლების პედაგოგიურ კოლექტივებს არ აწუხებთ თვითეული მოსწავლის ბედი და თავიანთ აღმზრდელობითს მოვალეობას მხოლოდ გაკვეთილების გადაცემა-გამოკითხვით ამოსწურავენ.

იქნებ კავშირგარეშე ახალგაზრდები არიან ესენი და სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციები ჯერ „ვერ მისწვდნენ“ მათ? — თქვენ წარმოიდგინეთ, კომკავშირის ბილეთს ატარებენ დასარტყმელად გამზადებული დანების გვერდით, მიქაძე, სიხარულიძე, გუნჯუა, ცერცვაძე და კოსტავა.

ამ ხულიგნების თავაშვებულობის გამო ამას წინათ ქალაქის ერთ-ერთ ბაღში სისხლიც კი დაიღვარა. ჩვეულებრივ აყალმაყალს დანის ტრიალი მოჰყვა. დაიჭრა ხულიგნების ჯგუფის ერთი წევრი გურამ დოჩანაშვილი, 47-ე სკოლის მეათეკლასელი მოსწავლე. ხულიგნების ჯგუფმა გადაწყვიტა „შური იძიოს ამხანაგისათვის“. ზ. გამსახურდიას წინადადებით ისინი იარაღდებიან — ზოგი რეზინის ჯოხით, ზოგიც დანით. ზვიად- გამსახურდიამ სპეციალური დიდი საკეცი დანაც კი მოიმარჯვა. „წამოიღეთ რამე, თუნდაც რკინის კეტები, რომ თავში ჩავცხოთო!“

9 დეკემბერს, მართლაც, ჰიგიენის სახლთან ისინი თავს ესხმიან, მაგრამ... სრულიად უდანაშაულო მოქალაქეს, მუშას — ჰ-ს და ჭრილობას აყენებენ მას. ჯერ გამსახურდიამ დაარტყა, შემდეგ ყველა დანარჩენი მიესია დაზარალებულს. ამ საქმეში ყველაზე მეტად „გამოიჩინა“ თავი მიქაძემ, ხულიგნობაში არაერთხელ შემჩნეულმა.

რატომ არ იმაღლებენ ამ ავადმყოფური მოვლენების წინააღმდეგ ხმას კომკავშირული ორგანიზაციები? განა მათი მოვალეობა არ არის ყურადღება მიაქციონ არამარტო ყოველი კომკავშირელის, არამედ ყოველი ახალგაზრდის მოქმედებას, ქცევას სკოლასა და საზოგადოებაში?! განა კომკავშირული ორგანიზაციის ამოცანა არ არის იბრძოლოს იმ ახალგაზრდა ადამიანის გამოსწორებისათვის, რომელიც ცუდი გავლენის ქვეშ მოჰყვა?!

რატომ არ გრძნობს დღემდე ყველა მშობელი პასუხისმგებლობას თავისი შვილების ყოფაქცევისათვის საზოგადოებაში, შინ და გარეთ? ნუთუ აღზრდა მარტო იმით უნდა გამოიხატებოდეს, რომ კარგად, უკანასკნელ მოდაზე ჩააცვა შვილს, ყოველდღე შეუვსო საფულე „სახარჯო ფულით“, რომ მას ტაქსით სეირნობისა და არც ისე იშვიათად რესტორანში ქეიფის საშუალება მიეცეს? რატომ არ უნდა აწუხებდეს, აინტერესებდეს მშობელს — იცოდეს სად იყო მისი შვილი შუაღამემდე, რატომ ბრუნდება იგი ყოველთვის სახლში ასე გვიან?!

და ბოლოს, ისინი სრულ ფუფუნებაში ამყოფებენ შვილებს, არაფერს აკლებენ, ზოგად განათლებას აძლევენ, სახლში მუსიკასა და უცხო ენებსაც ასწავლიან, თუ საგნებში მოიკოჭლებენ, მასწავლებლებსაც კი უქირავებენ, უნდა მშობელს კულტურული შვილი ჰყავდეს. ამაში არაფერია ცუდი. მაგრამ ცუდია, როცა ისინი არ ზრუნავენ ისწავლონ მათმა შვილებმა მთავარი — შრომისადმი სიყვარული, უფროსისადმი პატივისცემა, სუსტისადმი გამოქომაგება და დახმარება, თავმდაბლობა, თავაზიანობა. მოკლედ, ისინი შვილებს არ ასწავლიან საზოგადოებრივი მორალის საფუძვლებს.

ახალგაზრდობის აღზრდა პირადი, ოჯახური საქმე როდია — იგი უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისაა და თვითეული საბჭოთა მოქალაქე მოვალეა იყოს სკოლის, ოჯახის გულშემატკივარი. ეს კი ნიშნავს ახალგაზრდის ყოველ ულირს საქციელზე ხმა აღიმაღლო, საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევს გვერდი არ აუარო — თითქოს არც კი დაგინახავსო!

თავაშვებული ახალგაზრდები ხშირად „დემოკრატიაზეც“ გაჰყვირიან. მათი გაგებით აი რას ნიშნავს ეს: თუ მათ სცემეს სუსტსა და უდანაშაულოს, მილიციელს არ უნდა ჰქონდეს საქმეში ჩარევის უფლება, საზოგადოებას არ უნდა მიეცეს დაზარალებულისადმი გამოქომაგების საშუალება.

ხულიგნები გვევლინებიან როგორც სარეველა ბალახი მობიბინე ჯეჯილში, ისინი სახელს უტეხენ ჩვენს საუცხოო ახალგაზრდობას, გვევლინებიან მუწუკებად ჯანსაღ სხეულზე. მუწუკს კი მოჭრა უნდა, სარეველას — ამოძირკვა.

ჩვენი ამ წერილის ვაი-გმირები მალე წარსდგებიან ხალხის სამსჯავროს წინაშე და დამსახურებულ სასჯელს მიიღებენ ხულიგნობისა და სხვა ანტისაზოგადოებრივი მოქმედებისათვის.

ხულიგნების ფეხქვეშ მიწა უნდა იწვოდეს!

კ. ძებაძე.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„სპეკულაციასთან ბრძოლა თავმინებებულია“

ჩვენი გაზეთის მიმდინარე წლის 18 ოქტომბრის ნომერში ამ სათაურით გამოქვეყნდა წერილი, რომელშიც მხილებული იყო საჩხერის რაიონში სპეკულაციის შემთხვევები და ამ საკითხზე მოსწავლეებთან ბრძოლის უგულებელყოფა.

საქართველოს კპ საჩხერის რაიკომი რედაქციას სწერს, რომ რაიკომმა განიხილა გაზეთში დაბეჭდილი წერილი და აღნიშნა სპეკულაციის აღსაკვეთად რაიონის პარტიული, საბჭოთა, მილიციის, სასამართლო და ვაჭრობის ორგანოების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა და დასახა ღონისძიებანი რაიონში სავაჭრო ფსელის მუშაობის გაუმჯობესებისათვის, სპეკულანტების ალაგმვის უხრუნველყოფისათვის.

რაიკომმა სასჯელი დაადო საჩხერის მშრომელთა დეპუტატების რაიონსაბჭოს აღმასკომის ვაჭრობის განყოფილების გამგეს ამხ. ბ. ფერაძეს სავაჭრო ფსელის მუშაობისადმი სუსტი კანტროლისათვის.

რაიონული გაზეთი და სოციალისტური შეჯიბრება

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება სოციალისტური შეჯიბრების დიდ მაორგანიზებელ როლზე, მოითხოვა ამ დარგში წინათ არსებული ფორმალიზმის აღმოფხვრა.

სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებაში, მისთვის მასობრივი ხასიათის მიცემაში მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებს პრესა. ამ მხრივ გარკვეულ მუშაობას ეწევა ჩვენი რაიონული გაზეთი „ავანგარდიც“. ცხაკაიას რაიონი ძირითადად სასოფლო-სამეურნეო რაიონია, ამიტომ არ არის სოფლის მეურნეობის ისეთი საკითხი, რომელსაც ჩვენი გაზეთი არ ეხმაურებოდეს. ამ თემაზე დაბეჭდილ მასალებს ყოველთვის წითელი ზოლივით გასდევს სოციალისტური შეჯიბრების საკითხები, იმის ჩვენება, თუ რა კეთდება ამ მიმართულებით, რა წარმატებებს აღწევენ შეჯიბრების შედეგად რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელები.

სოფელ ზემო ჭალადიდის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობა, რომელსაც ნოყიერი მიწები, საძოვრები აქვს, წინა წლებში ყველაზე ჩამორჩენილი იყო. მოისუსტებდა პირველადი პარტიული ორგანიზაციის ორგანიზატორული საქმიანობა, კოლმეურნეობის გამგეობაც ურიგდებოდა ნაკლოვანებებს. წლიურ საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე კოლმეურნეებმა მკაცრად გააკრიტიკეს გამგეობის მუშაობა, წამოაყენეს ბევრი საგულისხმო წინადადება.

გაზეთის რედაქციის რჩევით კოლმეურნეობის ახალმა გამგეობამ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია მეზობელი სოფლის თეკლათის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობა. ამ ინიციატივამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა კოლმეურნეთა მასებში. „ავანგარდი“ რეგულარულად აშუქებდა შეჯიბრების მიმდინარეობას, ახალისებდა დაწინაურებულებს, აკრიტიკებდა ჩამორჩენილებს, ანალიზს უკეთებდა იმას, თუ ვინ რატომ ჩამორჩა ან როგორ მიაღწია წარმატებას.

შეჯიბრებაში გაძარჯვებულხი გამოვიდნენ ზემოჭალადიდელები. მათ არა მარტო მეზობლებს აჯობეს, არამედ რაიონში პირველობა მოიპოვეს — საშუალოდ ჰექტარზე 26 ცენტნერი სიმინდი მიიღეს. ეს იყო გასულ წელს, როცა ზემო ჭალადიდში შრომადღეზე 5 კილოგრამი სიმინდი და ფულად 2 მანეთი გაიცა.

სოციალისტური შეჯიბრების დიდ ძალაზე მეტყველებს ჩვენი რაიონისათვის ისეთი დიდად საგულისხმო მაგალითი, როგორიც არის გეგეჭკორის რაიონის მშრომელებთან შეჯიბრება. ორივე რაიონის გაზეთის მუშაკებმა გადავწყვიტეთ ამ საკითხზე საგაზეთო გვერდების გაცვლა. ორივე რაიონის გაზეთის შემცველ გვერდებში მოთხრობილი იყო წარმატებებზე, რომლებიც მოიპოვეს გეგეჭკორისა და ცხაკაიას რაიონების მესიმინდეებმა, მეჩაიეებმა, მეცხოველეებმა. გაზეთების ამ მასალებმა სოფლის მეურნეობის მშრომელთა დიდი ინტერესი გამოიწვია, აღუძრა მათ უკეთ მუშაობის სურვილი და ხელი შეუწყო საერთო წარმატებას სოფლის მეურნეობაში.

გაზეთში ახლა უფრო მეტი იბეჭდება საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა წერილები. „ავანგარდის“ ფურცლებზე თავიანთ მუშაობაზე მკითხველებს მოუთხრეს სოციალისტური შრომის გმირმა ბ. გვიჩიამ, ძველი სენაკის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ი. ჭკადუამ, ამავე კოლმეურნეობის მეორე ბრიგადის ხელმძღვანელმა ირ. ჭკადუამ, სოციალისტური შრომის გმირმა ვ. ღვინჯილიამ, ზანისა და ფოცხოს კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებმა ვ. ბაკურაძემ, გრ. შონიამ და სხვებმა. გაზეთში აქტიურად თანამშრომლობენ და სოციალისტური შეჯიბრების საკითხებზე ხშირად წერენ სოფლის მეურნეობის სპეციალისტები — ცხაკაიას მტს-ის დირექტორი გ. მორჩილაძე, მევენახეობა-მეღვინეობის საყრდენი პუნქტის გამგე ე. მაღრაძე, მტს-ის დირექტორის მოადგილე დ. დემურია, მტს-ის მთავარი აგრონომი ლ. კუპრეიშვილი, აგრონომები მ. ჯანაშია, ა. ბერაია, ტ. ღვინჯილია, გ. მიმინოშვილი, ზოოტექნიკოსი ა. გუგუნავა და სხვები.

სოციალისტური შეჯიბრების საკითხების ფართოდ გაშუქებისათვის გაზეთის მუშაობა მარტო მის ფურცლებზე დაბეჭდილი მასალებით არ განისაზღვრება. რედაქციის მუშაკები ხშირად დადიან ადგილებზე, ეთათბირებიან კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებს, საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებს. შეჯიბრებაში დაწინაურებულთა გამოცდილების დანერგვის საკითხებზე ზანის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობაში სპეციალური თათბირი გავმართეთ. გარდა ამისა ვაწყობთ ბრიგადებსა და ცალკეულ კოლმეურნეებს შორის შეჯიბრებას, ვურჩევთ მათ, როგორ წარმართონ მუშაობა შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად.

თვითკრიტიკის წესით უნდა აღვნიშნოთ, რომ მუშაობაში გვაქვს ნაკლოვანებანიც. ზოგიერთ ჩვენს მასალას სოფლის მეურნეობის, კერძოდ სოფლის მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრების საკითხებზე აკლია ღრმა ანალიზი, ხანდახან მხედველობიდან გვეპარება საკვანძო საკითხები. ამის გამოსწორებაში ქმედითად უნდა დაგვეხმაროს რესპუბლიკური პრესა, მის ფურცლებზე უფრო ხშირად უნდა ვხვდებოდეთ ახალ საკითხებს, თუ როგორ წყვეტენ ისინი სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ, საქმიანად გაშუქების ამოცანას.

მალე დამთავრდება სამეურნეო წელი, შეჯამდება ორი რაიონის სოციალისტური შეჯიბრების შედეგები. გაზეთი ამ საქმეშიც მიიღებს ქმედითს მონაწილეობას და გააჩაღებს ბრძოლას მომავალი წლის უხვი მოსავლისათვის სოციალისტური შეჯიბრების დროშის უფრო მაღლა ასაწევად.

ვ. წირღვავა,

ცხაკაიას რაიონულ გაზეთ „ავანგარდის“ რედაქტორი.

საბჭოთა კავშირ-მონღოლეთის სავაჭრო ურთიერთობისათვის

მოლაპარაკების შედეგად, რომელიც მეგობრობისა და თანამშრომლობის ვითარებაში მიმდინარეობდა, ა. წ. 14 დეკემბერს მოსკოვში ხელი მოაწერეს ოქმს სსრ კავშირსა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას შორის 1957 წელს საქონელბრუნვის შესახებ.

ამ ოქმის შესაბამისად საბჭოთა კავშირი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას მიაწვდის სახალხო მოხმარების საქონელს, მედიკამენტებს, ტრაქტორებს, სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, ავტომანქანებს, სხვადასხვა მოწყობილობას, აგრეთვე ნავთობპროდუქტებს, ლითონების ნაგლინს და სხვა მასალებს სახალხო მეურნეობის საჭიროებისათვის.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა, ისევე როგორც წინა წლებში, საბჭოთა კავშირს მიაწვდის სახორცე პირუტყვს, ერბო-კარაქს, მატყლს, ტყავნეღლეულს, ზაზუნას და მეცხოველეობისა და ნადირობის სხვა პროდუქტებს.

ოქმს ხელი მოაწერეს: საბჭოთა კავშირის მხრივ საგარეო ვაჭრობის მინისტრმა ი. გ. კაბანოვმა, მონღოლეთის მხრივ — მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ს. ლუბსანმა.

უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 12 დეკემბერი. (საკდესი). უშიშროების საბჭომ თავის დღევანდელ სხდომაზე ერთხმად გამოიტანა გადაწყვეტილება ურჩიოს გენერალურ ასამბლეას მიიღოს იაპონია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად.

ინდონეზიაში საბჭოთა საელჩომ დარბაზობა გამართა პრეზიდენტ სუკარნოს პატივსაცემად

ჯაკარტა, 14 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ სსრ კავშირის ელჩმა ინდონეზიაში დ. ა. ფუკოვმა სადილი გამართა ინდონეზიის პრეზიდენტის სუკარნოსა და იმ პირთა პატივსაცემად, რომლებიც მას ახლდნენ საბჭოთა კავშირში აშსწინანდელ მოგზაურობაში.

გამოვიდა რა დარბაზობაზე, პრეზიდენტმა მადლობა გადაიხადა იმ გულთბილი შეხვედრისათვის, რომელიც მას და დელეგაციის წევრებს საბჭოთა ხალხმა გაუმართა სსრ კავშირში ამასწინანდელი ვიზიტის დროს.

სუკარნომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინდონეზიელმა ხალხმა მოიწონა მისი ვიზიტი საბჭოთა კავშირში და რომ იგი საბჭოთა ხალხისადმი გამსჭვალულია მეგობრობის იმავე გრძნობით, რომელიც საბჭოთა ხალხმა ინდონეზიელი ხალხის მიმართ გამოთქვა. იმედი მაქვს, თქვა სუკარნომ, რომ პრეზიდენტი ვოროშილოვი მალე ეწვევა ინდონეზიას და შევძლებთ ვაჩვენოთ მას, რომ ინდონეზიისა და საბჭოთა კავშირის ხალხები დაკავშირებული არიან მეგობრობისა და ძმობის მჭიდრო კავშირით. სუკარნომ წარმოთქვა კ. ე. ვოროშილოვის სადღეგრძელო.

სადილზე იყვნენ პრემიერ-მინისტრი სასტროამიჯოიო, საგარეო საქმეთა მინისტრი აბდულგანი და სხვა ოფიციალური პირები.

სადილის შემდეგ, რომელმაც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, სტუმრებმა ნახეს საბჭოთა მხატვრული ფილმი „დიდი ოჯახი“.

დღეს გაზეთები „ბინტანგ თიმური“, „დუტა მაშარაქითი“, „ჰარიან რაქიათი“ და „რეპუბლიკი“, იუწყებიან რა, რომ საბჭოთა საელჩოში გაიმართა დარბაზობა, აღნიშნავენ ინდონეზიისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებას.

„ჰარიან რაქიათი“ ხაზგასმით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ პრეზიდენტი სუკარნო მხოლოდ მეორეჯერ იყო უცხოეთის საელჩოში: პირველად იგი ეწვია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს ჯოუ ენ-ლაის ვიზიტის დროს და მეორეჯერ — საბჭოთა კავშირის საელჩოს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XI სესია

13 დეკემბრის დიღის სხდომა

ნიუ-იორკი, 13 დეკემბერი. (საკდესი). დღეს დილის სხდომაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ დაამტკიცა მეოთხე კომიტეტის (მეურვეობისა და არათვითმმართველი ტერიტორიების საკითხთა კომიტეტის) მოხსენება და რეზოლუცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეურვეობის შეწყვეტის შესახებ ტოგოზე, რომელიც ბრიტანეთის მართვა-გამგეობაშია. ეს რეზოლუცია ითვალისწინებს, რომ მას შემდეგ, რაც ინგლისის კოლონია ოქროს ნაპირი, რომელსაც ინგლისი დამოუკიდებლობის მიცემას შეპირდა 1957 წლის მარტში, დამოუკიდებელი გახდება, ტოგო გაერთიანდება ოქროს ნაპირთან. ახალ სახელმწიფოს დაერქმევა განა.

მთელი რიგი ქვეყნების წარმომადგენლებმა იმედი გამოთქვეს, რომ ახალი სახელმწიფო ნამდვილ დამოუკიდებლობას და თავისთავადობას მიიღებს თავის პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ განვითარებაში.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა ა. ა. სობოლევმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი ყოველთვის მოითხოვდა ტოგოს ხალხთა გაერთიანებას და მათთვის დამოუკიდებლობის რაც შეიძლება მალე მინიჭებას. მაგრამ რამდენადაც ახლანდელ ეტაპზე მმართველ ხელისუფალთა შეუპოვარი წინააღმდეგობის შედეგად ტოგოს ორი ნაწილის (ტოგოს მეორე ნაწილი საფრანგეთის მართვა-გამგეობაშია) გაერთიანება შეუძლებელი აღმოჩნდა, საბჭოთა დელეგაცია მხარს უჭერს წინადადებას, რომ ოქროს ნაპირთან გაერთიანდეს ტოგოს ის ნაწილი, რომელიც ბრიტანეთის მართვა-გამგეობაშია.

გენერალურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 14 დეკემბერი. (საკდესი). გენერალურმა კომიტეტმა ურჩია გენერალურ ასამბლეას მიმდინარე სესიის დღის წესრიგში შეიტანოს საბჭოთა კავშირის დელეგაციის მიერ შეტანილი საკითხი სახალხო დემოკრატიის ქვეყნების საშინაო საქმეებში შეერთებული შტატების ჩარევისა და ამ სახელმწიფოთა წინააღმდეგ მათი ძირგამომთხრელი საქმიანობის შესახებ. საკითხის ოფიციალური სახელწოდებაა: „საბჭოთა კავშირის საჩივარი ალბანეთის, ბულგარეთის, უნგრეთის, პოლონეთის, რუმინეთის, სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის საშინაო საქმეებში ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევისა და ამ სახელმწიფოთა წინააღმდეგ ძირგამომთხრელი საქმიანობის შესახებ“. გენერალური კომიტეტის რეკომენდაცია ითვალისწინებს ამ საკითხის განხილვას ჯერ სპეციალურ პოლიტიკურ კომიტეტში, ხოლო შემდეგ გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომაზე.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნების საშინაო საქმეებში ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევისა და ამ სახელმწიფოთა წინააღმდეგ ძირგამომთხრელი საქმიანობის საკითხის გენერალური ასამბლეის XI სესიის დღის წესრიგში შეტანის შესახებ საბჭოთა კავშირის დელეგაციის წინადადების დასასაბუთებლად 13 დეკემბერს გენერალურ კომიტეტში გამოვიდა ვ. ვ. კუზნეცოვი. მან აღნიშნა, რომ სახალხო დემოკრატიის ქვეყნების საშინაო საქმეებში ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევისა და ამ სახელმწიფოთა წინააღმდეგ ძირგამომთხრელი საქმიანობის საკითხს ხანგრძლივი და ამერიკის შეერთებული შტატებისათვის სამარცხვინო ისტორია აქვს. აღნიშნული ქვეყნების წინააღმდეგ ძირგამომთხრელი პოლიტიკის განხორციელება შეერთებულ შტატებში აყვანილია სახელმწიფოებრივ დონემდე.

დაწვრილებით ილაპარაკა რა ზოგიერთ ფაქტსა და დოკუმენტზე, რომლებიც ახასიათებენ ამერიკის შეერთებული შტატების ძირგამომთხრელ საქმიანობას სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ, ვ. ვ. კუზნეცოვმა დამაჯერებლად ცხადყო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ეს საქმიანობა გაფართოდა მშვიდობის საქმისათვის მეტად საშიშ ფარგლებამდე.

— ამერიკის შეერთებული შტატების ძირგამომთხრელი საქმიანობა, სუვერენულ სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში მათი ჩარევა, — განაცხადა საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა, — არ შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპებს. ეს მოქმედება ამწვავებს საერთაშორისო ვითარებას და სერიოზულ საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას. გაერთიანებული ერების ორგანიზაციას არ შეუძლია განზე დარჩეს და არ ებრძოლოს მოქმედებას, რომელიც ეწინააღმდეგება იმ ძირითად მიზანს, რისთვისაც იგი შექმნილია, სახელდობრ „იხსნას მომავალი თაობა ომის უბედურებისაგან“.

აღნიშნა რა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ვალია მიიღოს სასწრაფო ღონისძიებანი ამერიკის შეერთებული შტატების მხრივ ძირგამომთხრელი საქმიანობისა და სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ყოველგვარი ჩარევის შესაწყვეტად, ვ. ვ. კუზნეცოვმა მოითხოვა, რათა გენერალურმა ასამბლეამ ეს საკითხი განიხილოს ამ სესიაზე და რომ აღნიშნული საკითხის დიდი მნიშვნელობისა და გადაუდებლობის გამო განხილვა მოხდეს ასამბლეის უახლოეს პლენარულ სხდომაზე კომიტეტისათვის გადაუცემლად.

„მთელი ეგვიპტელი ხალხი დიდი სიმპათიით ეპყრობა საბჭოთა ადამიანებს“

ეგვიპტის პრეზიდენტმა მიიღო სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის დელეგაცია

კაირო, 14 დეკემბერი. (საკდესი). ეგვიპტის პრეზიდენტმა გამალ აბდელ ნასერმა დღეს მიიღო სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის დელეგაცია, რომელმაც ეგვიპტეში ჩაიტანა მედიკამენტები და სურსათი, რაც საბჭოთა კავშირის მშრომელებმა საჩუქრად გადასცეს ეგვიპტელ ხალხს, რომელიც ინგლის-საფრანგეთ-ისრაელის აგრესიისაგან დაზარალდა. დელეგაციას მეთაურობს წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნ. ს. ხმელიოვი. დელეგაციას ახლა სსრ კავშირის ელჩი ეგვიპტეში ე. დ. კისელიოვი.

დარბაზობას დაესწრნენ აგრეთვე ეგვიპტის წითელი ნახევარმთვარის საზოგადოების ვიცეთავმჯდომარე დოქტორი მანსურ ფაჰმი, წითელი ნახევარმთვარის ქალთა ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტი ქ-ნი ელ-ფარი, ამ ორგანიზაციის გენერალური მდივანი ქ-ნი მუხთარი.

პრეზიდენტი ნასერი გულთბილად მიესალმა საბჭოთა დელეგატებს და თქვა:

„ძალიან მახარებს თქვენი ნახვა და ვსარგებლობ ამ შესაძლებლობით, რათა თქვენი მეშვეობით გადავცე მთელ საბჭოთა ხალხს ეგვიპტელი ხალხის მადლობა იმ დახმარებისათვის, რომელიც მან გაგვიწია ასეთ დროს. მთელი ეგვიპტელი ხალხი იფასებს ამას და დიდი სიმპათიით ეპყრობა საბჭოთა ადამიანებს. გადაგცით მადლობა საბჭოთა წითელ ჯვარს დახმარებისათვის, რომელიც მან გაუწია აგრესიისაგან დაზარალებულ ადამიანებს.

ჩვენი მიზანია ავამაღლოთ ხალხის ცხოვრების დონე, და მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი მივაღწიოთ ამას. მრავალი ათეული წლის მანძილზე ჩვენი ხალხი იტანჯებოდა ფეოდალიზმისა და კოლონიალიზმისაგან. იმისათვის, რომ ავამაღლოთ ცხოვრების დონე, საჭიროა დამოუკიდებელი ეროვნული ეკონომიკა. მაგრამ დამოუკიდებელი ეკონომიკის შექმნა შეუძლებელია, თუ სახელმწიფო არ იქნა დამოუკიდებელი და თავისთავადი პოლიტიკურად. როგორც კი განვაცხადეთ, რომ გადაწყვეტილი გვაქვს ვიყოთ დამოუკიდებელი და თავისუფალი, დაიწყო აგრესია. იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა, რომლებიც დიდხანს გვიჭერდნენ ყელში ხელს, არ მოისურვეს ხელის გაშვება. მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ მიგაღწევთ ჩვენს მიზანს“.

საქალაქო თემაზე

შუქრეკლამები

ზამთრის დღე მოკლეა. ღამის ბინდბუნდის მოახლოებისას ქალაქის ჩირაღდნები ცვლიან ადრე ჩასული მზის შუქს. აკიაფდებიან მაღაზიების რეკლამები. დიდ შენობებზე ჩართავენ შუქრეკლამებს. და ხალამოს საათებში რომ გაიარ-გამოიარ ქალაქის ქუჩებში, დაინახავთ მოკაშკაშე შუქრეკლამებს ლენინის, საბჭოთა კავშირის გმირების, ვაგზლისწინა მოედნებზე, რუსთაველისა და პლეხანოვის პროსპექტებზე. ასეთი პირველი შუქრეკლამები 1951 წელს გამოჩნდა ჩვენს დედაქალაქში.

როგორ კეთდება შუქრეკლამა?

ჯერ მხატვრები შეადგენენ მომავალი რეკლამის ესკიზს, რომლის მიხედვითაც შემდეგ მზადდება ნახაზები და შაბლონები. შაბლონების მიხედვით თაბაშირისა და რკინისაგან აკეთებენ ასოებს, რომლებშიც შემდეგ ჩადგამენ ასოების გამომხატველ მინის მილებს. სპეციალურ ვაკუუმის სტენდზე ამ მილებიდან ამოტუმბავენ ჰაერს, ხოლო შემდეგ მათ ავსებენ ნეონისა და არგონის გაზებით, რომლებიც ანთებისას შესაბამისად იძლევიან წითელ და ლურჯ ფერებს. სხვა დამხმარე მასალების მიმატებით შეიძლება მიღებულ იქნას მრავალფეროვანი ილუმინაცია. სხვადასხვა ვარიაციებით მიიღება

18 ელფერი. ამავე დროს სახურავზე იდგმება რკინის კონსტრუქცია, რომელზეც ამონტაჟებენ გაზ-შუქის დანადგარს.

თბილისში შუქრეკლამებს ამზადებს ორი კომბინატი — „სავაჭრო რეკლამა“ და „საქსურსათგაფორმება“. ამ კომბინატების საწარმოო საამქროებში შრომობენ გამოფრმებული მხატვრები დ. დავითაშვილი, ე. ვრაბდი, ვ. ჯაბადარი, ი. ლიტვინოვი და სხვ. უკანასკნელ წლებში აღიზარდნენ კადრები, რომლებიც უშუალოდ ქმნიან რეკლამას. ესენი არიან მინა-მბერები — ა. ხიზანაშვილი და ი. ერმოლოვი, ამომტუმბავები — ნ. ცხადაძე და თ. შორინა, მძერწავი ვ. კოპჩენოვი, ზეინკლები — ვ. მიქაელიანი და ზ. თეთრაძე და სხვ.

ამ მოკლე ანის წინათ შუქრეკლამები ქალაქის მცხოვრებლებს უმთავრესად მოუწოდებდნენ იყიდონ შამპანური ღვინო, თამბაქოს ნაწარმი, ლუდი. ახლა ეს მდგომარეობა ცოტათი შეიცვალა. გაჩნდა სხვა რეკლამებიც, რომლებიც გვაუწყებენ სად რომელ კინოფილმს აჩვენებენ, მოუწოდებენ მოქალაქეებს იყიდონ წიგნები, დაიცვან ქუჩაში მოძრაობის წესები. ახლა „ქალაქპროექტში“ ამუშავებენ ქალაქის ძირითადი მაგისტრალების გაზ-შუქის დანადგარებით გაფორმების გეგმას. განზრახულია ლენინის მოედანზე მოიწყოს დიდი დინამიკური რეკლამა. მისი საშუალებით შეგვეძლება ვიკითხოთ სარეკლამო ტექსტები, რომლებიც ზედიზედ იცვლებიან. უნდა ითქვას, რომ ჯერჯერობით კარგი რეკლამები ქალაქში ძალიან ცოტაა. ხოლო რამდენია სხვადასხვა თემა, რამდენია სიახლე ქალაქში, რომლებსაც მოუხდებოდა კარგი რეკლამა! რატომ არ შეიძლება რეკლამებით ვაუწყოთ ჩვენს ხალხს, თუ რა და რა ახალ საქონელს უშვებს ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობა, რა და რა სპექტაკლები მიდის თეატრებში, რა სიახლე მოხდა ადამიანთა ცხოვრებაში! კარგი იქნებოდა შუქრეკლამების მოწყობა ქალაქისაკენ მომავალ გზებზე.



მხედველობაში უნდა მივილოთ, რომ შუქრეკლამების მოწყობა მნიშვნელოვანი საქმეა ჩვენი ქალაქის არქიტექტურულ-მხატვრულ გაფორმებაში.

* * *

სურათებზე: ზემოთ — ამომტუმბავი ნ. ცხადაძე მუშაობს ვაკუუმის დანადგარზე კომბინატ „სავაჭრო რეკლამაში“; ქვემოთ — კომბინატ „საქსურსათგაფორმების“ ავწყობს ზეინკალი ი. მიროშნიკოვი აწყობს შუქნათურას.

ტექსტი და ფოტო ვლ. გინზბურგისა.

XXIV საკავშირო პირველობის ნახევარფინალი

მეჩვიდმეტე ტურში გიორგაძემ გათამაშებაში მოუგო ჩუკაევს. ტალ-სახაროვის, კობლენცკორჩნოის, გუფელდ-ანტოშინის, კროგიუს-ხალილბეილისა და ზურახოვ-ბუსლაევის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

პეტროსიანსა და ფურმანს თითო ქულა ჩაეწერათ კასპარიანისა და ვორონკოვისაგან. კოტკოვ-გურგენიძისა და პოლუგაევსკი-იუხტმანის პარტიები ხანგრძლივი და საინტერესო ბრძოლის შემდეგ გადაიდო.

დამთავრდა ქალთა XVIII საჭადრაკო პირველობა

კ. ზვორიკინა — სსრ კავშირის ჩემპიონი

დნეპროპეტროვსკი. (ტელეფონით სპეც. კორ.). სსრ კავშირის ქალთა XVIII საჭადრაკო ჩემპიონატის უკანასკნელი ტურები საინტერესო და მძაფრი ბრძოლით ხასიათდებოდა.

უკანასკნელისწინა, XVI ტურში კაკაბაძემ, რომელმაც საერთოდ ძლიერად ჩაატარა ტურნირი, მორიგი გამარჯვება მოიპოვა. მან დაამარცხა კაცკოვა. ტოგონიძე და მატვეევა ყაიმზე შეთანხმდნენ. გაფრინდაშვილმა წაგო ესტერკინასთან.

XVII ტურში ჩვენი რესპუბლიკის მოჭადრაკეებიდან კაკაბაძემ მოუგო მატვეევას, ხოლო გაფრინდაშვილი და ტოგონიძე ყაიმზე შეთანხმდნენ.

ამრიგად, სსრ კავშირის XVIII საჭადრაკო ჩემპიონატი დამთავრდა. შეხვედრები მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარა მინსკელმა მოჭადრაკე ქალმა კირა ზვორიკინამ, რომელმაც 17 შესაძლებლიდან 13,5 ქულა შეაგროვა და სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა.

ჩვენი ქვეყნის ახალ ჩემპიონს მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩა ლარისა ვოლპერტი (ლენინგრადი). მან მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა.

სსრ კავშირის არაერთგზის ჩემპიონმა ვალენტინა ბორისენკომ (სვერდლოვსკი) 11,5 ქულა შეაგროვა და მესამე ადგილი მოიპოვა.

მეოთხე ადგილზე გამოვიდა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი ახალგაზრდა ნიჰეერი მოჭადრაკე ე. კაკაბაძე. მან განსაკუთრებით ძლიერად ჩაატარა ტურნირის დასკვნითი ნაწილი, ამასთანავე კარგი შედეგი აჩვენა ოსტატებთან გამართულ პარტიებში. ე. კაკაბაძემ 11 ქულა შეაგროვა.

მეხუთე ადგილი 10,5 ქულით დაიკავა ო. იგნატიევამ (მოსკოვი), მეექვსე — ნ. ვოიცეკმა (მოსკოვი, 10 ქულა).

მეშვიდე, მერვე და მეცხრე ადგილები გაინაწილეს ტურნირის ყველაზე ახალგაზრდა მოჭადრაკეებმა — ნ. გაფრინდაშვილმა, მ. ტოგონიძემ (ორივე საქართველოდან) და ტ. ზატულოვსკაიამ (მაქო). თვითეულმა მათგანმა 8,5 ქულა შეაგროვა.

როგორც ცნობილია, ნ. გაფრინდაშვილმა და მ. ტოგონიძემ ასეთ დიდ ასპარეზობაში პირველად მიიღეს მონაწილეობა. მოპოვებული შედეგები საპატიოა. ამ ტურნირმა ნ. გაფრინდაშვილსა და მ. ტოგონიძეს დიდი გამოცდილება შემატა, რაც ხელს შეუწყობს მათს დაოსტატებას.

მეათე ადგილზეა ვ. ტიხომიროვა (მოსკოვის ოლქი, 8 ქულა), მეთერთმეტეზე — ო. სემიონოვა (ლენინგრადი, 7,5 ქულა). მეთორმეტე, მეცამეტე, მეთოთხმეტე და მეთხუთმეტე ადგილები გაიყვეს ლ. რუდენკომ, რ. ესტერკინამ (ორივე ლენინგრადიდან), ნ. კოლოტინმ (მოსკოვი) და ტ. კრიუკოვამ (კიევი). მათ შვიდ-შვიდი ქულა შეაგროვეს. მეთექვსმეტე ადგილზე გამოვიდა ო. კაკკოვა (მოსკოვი, 6 ქულა), მეჩვიდმეტეზე — ზ. გორინა (სვერდლოვსკი, 5 ქულა), მეთვრამეტეზე — ნ. მატვეევა (მოსკოვი, 3 ქულა).

სურათზე: (მარცხნიდან) სსრ კავშირის ქალთა XVIII ჩემპიონატში პირველ ოთხ ადგილზე გამოსული მოჭადრაკეები — ჩვენი ქვეყნის 1956 წლის ჩემპიონი კ. ზვორიკინა, ლ. ვოლპერტი, ვ. ბორისენკო და ე. კაკაბაძე.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეოთხე სახელმწიფო სესხი

ოფიციალური ცხრილი

დაფარვის მე-3 ტირაჟისა, რომელიც გაიმართა 1956 წლის 9 დეკემბერს ქ. მოსკოვში.
დაფარვის ტირაჟში გავიდა სესხის თვითეული თანრიგის შემდეგი სერიების ობლიგაციების ყველა 50 ნომერი (№ 01-დან № 50-მდე):

სერიის №	სერიის №	სერიის №	სერიის №	სერიის №	სერიის №	სერიის №	სერიის №	სერიის №	სერიის №	სერიის №	სერიის №
060031	061747	063203	064527	066170	068169	069586	071245	073005	074870	076706	078345
060046	061782	063237	064561	066223	068261	069623	071246	073091	074915	076714	078351
060142	061787	063269	064616	066226	068301	069679	071269	073096	074993	076770	078367
060276	061830	063276	064677	066255	068321	069682	071309	073114	075043	076849	078393
060305	061856	063316	064697	066314	068331	069705	071328	073164	075045	076888	078456
060322	061877	063334	064726	066327	068351	069740	071331	073305	075097	076917	078525
060411	061921	063358	064760	066406	068382	069778	071335	073361	075134	077031	078587
060418	061947	063377	064773	066412	068495	069789	071396	073367	075151	077040	078600
060434	062016	063434	064902	066487	068591	069796	071489	073459	075157	077059	078616
060474	062044	063435	064986	066566	068593	069884	071556	073461	075171	077078	078685
060483	062182	063443	065016	066644	068614	070036	071619	073481	075215	077169	078702
060490	062253	063462	065038	066688	068689	070114	071660	073565	075244	077173	078768
060513	062263	063567	065086	066701	068701	070134	071665	073611	075248	077194	078817
060566	062290	063593	065132	066707	068709	070188	071709	073671	075272	077204	078876
060611	062304	063626	065143	066799	068721	070365	071786	073720	075344	077205	078885
060648	062344	063705	065158	066895	068731	070405	071787	073743	075379	077210	078902
060724	062353	063800	065160	066921	068734	070459	071801	073785	075542	077354	079059
060743	062425	063811	065193	066967	068811	070472	071821	073844	075548	077382	079106
060806	062436	063817	065198	066980	068821	070508	071827	073847	075619	077421	079136
060815	062448	063823	065206	066984	068832	070554	071831	073880	075625	077429	079138
060860	062467	063858	065215	067013	068835	070591	071839	073956	075636	077524	079180
060915	062468	063891	065251	067097	068837	070595	071906	073961	075650	077547	079182
060988	062507	063922	065283	067129	068891	070606	071982	073965	075773	077578	079194
061019	062527	063954	065291	067170	068959	070681	072016	074070	075782	077601	079196
061131	062529	064045	065303	067271	068962	070744	072077	074194	075785	077667	079241
061152	062579	064122	065329	067325	068994	070748	072104	074196	075809	077722	079255
061189	062659	064147	065346	067331	069014	070786	072176	074243	075823	077767	079318
061194	062712	064156	065401	067346	069016	070841	072274	074302	075856	077804	079455
061240	062749	064188	065490	067429	069052	070844	072490	074304	075884	077819	079495
061249	062789	064218	065524	067506	069069	070873	072526	074417	075891	077828	079657
061252	062800	064234	065567	067553	069080	070967	072558	074436	075966	077878	079730
061291	062817	064276	065578	067558	069149	071008	072735	074577	076043	077886	079738
061307	062843	064295	065580	067564	069159	071039	072778	074581	076061	077925	079793
061397	062866	064296	065675	067632	069241	071069	072782	074603	076153	078001	079810
061473	062884	064305	065725	067664	069247	071082	072792	074658	076244	078029	079815
061507	063008	064314	065829	067712	069261	071116	072799	074751	076252	078040	079829
061516	063027	064358	065958	067716	069329	071117	072835	074775	076308	078110	079897
061536	063057	064370	065988	067739	069338	071165	072895	074821	076377	078208	079904
061592	063062	064386	066087	067794	069419	071188	072908	074831	076437	078226	079958
061662	063156	064390	066102	067882	069465	071189	072913	074832	076469	078271	079965
061694	063164	064430	066122	067883	069499	071204	072930	074835	076501	078307	079976
061735	063186	064468	066128	068103	069547	071235	072955				

დაფარვის ტირაჟის ჩამტარებელი კომისიის თავმჯდომარე — ქ. მოსკოვის კალინინის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ა. ნ. მელნიკოვი.
პუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ა. ნ. მელნიკოვი.
კომისიის პასუხისმგებელი მდივანი ნ. ვ. კუზნეცოვა.

«კინოპროკატის» საქართველოს რესპუბლიკური კანტორა

ორშაბათიდან, 17 დეკემბრიდან

ნახეთ კინოთეატრებისა და კლუბების ეკრანებზე ახალი ფერადი მხატვრული ფილმი

„აგეზარა“

სცენარი ა. ვიტენზონისა, ნ. სანიშვილის მონაწილეობით, დადგმა რეჟისორ ნიკოლოზ სანიშვილისა, რეჟისორი ვ. მშველიძე, მთავარი ოპერატორი დ. ფელდმანი, მხატვრები ლ. მამალაძე, ვ. მაჭავარიანი, კომპოზიტორი ს. ცინცაძე, სიმღერების ტექსტი პ. გრუზინსკისა, ხმის ოპერატორი დ. ლომიძე, სურათის დირექტორი მ. ცქიტიშვილი.

მთავარ როლებში:

ლ. აბაშიძე, თ. მუშკუდიანი, გ. გეგეჭკორი, მ. თბილელი, ა. კვანტალიანი, უ. დუგლაძე, ა. ჟორჟოლიანი, ც. თაყაიშვილი, ი. გვინჩიძე, ვ. ფირცხალავა, ა. ომიაძე.

საქართველოს რადიოკომიტეტის ორკესტრი, დირიჟორი ზ. ხუროძე.

ლენინის ორდენოსანი კინოსტუდიის „ქართული ფილმის“ 1956 წლის ნაწარმოები.

შვილები ფრიდონ, ტატე, რძლები სონია, ბაბელია ოჯახებით და ნათესავებით იუწყებიან

ნინო ზაქარიას ასულ პავლიაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 16-XII სოფელ პავლიანში (ლენინგორის რ.).

საქართველოს კულტურის სამინისტროს რადიოინფორმაციის მთავარი სამმართველოს მუშაკები იუწყებიან

ეკატერინე ლაზარეს ასულ ორლოვას

გარდაცვალებას.

გივი პატიაშვილი ოჯახით იუწყება

ელენე თომას ასულ კუკულაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება 16-XII, 2 ს. საგურამოს ქ. № 18.

შვილი ვალერიან, და ნატაშა, ძმები მელიტონ, ივანე ოჯახებით იუწყებიან

მინადორა სტეფანეს ასულ კაჭარავა-ქვარცხავას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 18-XII დაბა ჩხოროწყუში.

შვილები შალვა, ნინო, ელიზბარ, თამარ, ზეთევან, ეთერ, რძლები ვარო, თამარ, კატო, ელენე, ცაცა, სიძეები გ. ყართველიშვილი, ბ. ქარსელაძე ოჯახებით იუწყებიან

ეკატერინე აბრამის ასულ შათირიშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 16, 17-XII, 8 ს. გამოსვენება 18-XII, 3 ს. კალინინის ქ. № 17.

მეუღლე ზინა, შვილები საშა, კლარა, კარლო, ედუარდ, ძმა გიორგი ოჯახით, ი. და ბ. მჭედლიძეები იუწყებიან

არჩილ ალექსის-ძე ბირკაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 16-XII, 3 ს. ბაშურში. გამოსვენება ბინიდან, რუსთაველის I ჩიხი № 7.

შვილები ტატიანა, თინა, ალექსანდრე, აკაკი, ნუცა ხვთასი, რძლები თ. ჭიპინაძე, გ. ცომაია, სიძე გ. ჯაიანი ოჯახებით იუწყებიან

ნინო მეთოდეს ასულ ჭაბუკიანი-ხვთასის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 18-XII სოფელ ციხესულორში (ვანის რ.).

„თბილხილბოსტანეაჭრობის“ თანამშრომლები იუწყებიან

არჩილ რომანოზის-ძე ლებანიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 16, 17-XII, 7 ს. გამოსვენება 18-XII, 4 ს. შრომის შესახვევი № 30 (მოლოტოვის რაიონი).

მეუღლე ანიჩკა, შვილები ეუეუნა, ავთანდილ, სიძე ი. კამლაძე ოჯახით ი